ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 27 თებერვალი, 2018 №48 (7593) ფასი: 50 თეთრი

გურამ ვახტანგაშვილი:
„მე ვიცი, რომ ცხინვალის ციხეში 3-4 ქართველი ჰყავთ“

გვ.4

27 თებერვლიდან
შიო გვეტაძე
მონანიება

ქართული დეტექტივი ტომი 14

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

არჩილ ტატუნაშვილის ცხედარი ექსპერტიზაზე რუსეთში გადაამგზავნეს

რის დამალვას ცდილობს ცხინვალი

ტატუნაშვილის ახლობლებმა გზა გადაკეტეს

გვ.4

გვ.3

გია ხუხაშვილი:
„ქართული ოცნების“ ერთადერთი საინტერესო კანდიდატი ივანიშვილი იქნებოდა“

რატომ გაუჩნდა კალაძეს „ევროპულ საქართველოსთან“ თანამშრომლობის სურვილი

გვ.3

გადააბარებს თუ არა „ოცნება“ მათ ხელისუფლებას

„ირაკლი ოქრუაშვილისთვის რაღაც უნდა მეთქვა, მაგრამ მღელვარების გამო დამავიწყდა და თქვენი გაზეთით შევახსენებ!“

გვ.2

რა პრეტენზია აქვს ია მეტრეველს შს ყოფილ მინისტრთან

გვ.2

გია მაისაშვილი გარდაიცვალა

სამართალი

გვ.7

ანა დოლიძე:
„არ შეიძლება, იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქმეს წარმართავდეს, როგორც „ნუცას სკოლა“

ბურჭულაძის ვაჟი არ გამორიცხავს, რომ მის ტელეფონში უკანონო შეღწევა მამამისის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდებოდეს

რუსლან ალდამოვმა თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე ჩვენება მისცა

ეკონომიკა

გვ.6

ტაქსისტებს შესაძლოა მოგების გადასახადის გადახდა მოუწიოთ

მამუკა ბახტაძე:
„ბანკებისთვის ამ ეტაპზე დამატებითი პრეფერენციების საჭიროება არ დგას“

წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე 1,3 მილიარდი ლარი დაიხარჯება



ISSN 1987-9385

5 ქახა მიქაია:
„სირაქლემასავით ქვიშაში თავჩარგულ ხელისუფლებას ერთ ადგილზე რომ უკბინოს ფაროსანამ, მერე სად მიდიან?“

2 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა მანქანები იჯარით ექსგამგებლისა და მისი მამისგან მიიღო

5 საქართველოში ლუდის იმპორტი იზრდება

5 მარტის ბოლომდე ოკუპირებულ აფხაზეთში დაგეგმილია 5.000 ბინადრობის მოწმობის გაცემა

2018, 27 თებერვალი, №48

„ირაკლი ოქრუაშვილისთვის რაღაც უნდა მეთქვა, მაგრამ მღელვარების გამო დამავიწყდა და თქვენი გაზეთით შევახსენებ!“

რა პრეტენზია აქვს ია მეტრეველს შს ყოფილ მინისტრთან

ნონა ცაბაძე

საქალაქო სასამართლოში, სადაც ბუტა რობაქიძის პროცესი მიმდინარეობს, გუშინ დაკითხვაზე ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი დაიბარეს. ოქრუაშვილი სწორედ იმ პერიოდში იყო მინისტრად, როცა ეს გახმაურებული მკვლელობა მოხდა.

სხდომაზე სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა ოქრუაშვილსა და ბუტა რობაქიძის მამა, სოსო რობაქიძეს შორის.

– ეხლა რომ იარაღი მქონდეს, პირდაპირ გესროდი, – ასე მიმართა დაპირისპირებისას სოსო რობაქიძემ ირაკლი ოქრუაშვილს.

– როგორც ჩანს, დღეს მე ორივე მხარეს იმედები გავუცრუე. ორივე მხარე ელოდებოდა, რომ ერთის დანაშაული მემტკიცებინა და მეორის – უდანაშაულობა. ჩემი მინისტრობის პერიოდში მოხდა დანაშაული, მაგრამ 2004 წლის ზაფხულში მე ხელი მოვაწერე შსს-ში 40 ათასამდე ადამიანის დანიშვნას. ეს არ ნიშნავს, რომ 40 ათასივეს საქციელზე პასუხს ვაგებდი. ბებიაჩემის ქელეხში 500 ადამიანი იჯდა, მაგრამ ის ადამიანები რას აკეთებდნენ იქ, მე თითოეულ მათგანზე პასუხს ვერ ვაგებ. მით უმეტეს, თუ დანაშაული მოხდა, პროკურატურის ქვემდებარე იყო საქმე თავიდანვე და მას უნდა გამოეძიებინა, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

პროცესის დასრულების შემდეგ სიტყვიერი დაპირისპირება ოქრუაშვილსა და ბუტა რობაქიძის მამას შორის სასამართლო ეზოში გაგრძელდა.

– თქვენ შესაძლოა შინაგან საქმეთა მინისტრობიდან მალე გადახვედით თავდაცვის სამინისტროში, მაგრამ შენ და მიხეილ სააკაშვილი ერთი გუნდი იყავით. პატრულის სახის შენარჩუნებაზე „იჩალიჩეთ“ ყველამ. ნახევარი თქვენს ხელში არის დანიშნული. რამდენი ადამიანი უნდა მოკლან. იმდენი ადამიანი გააუბედურეს, შენც მოსაკლავი იქნები. მე ერთ რაღაცას გეკითხები – იარაღი ჩადებული იყო თუ არა? – მიმართა სოსო რობაქიძემ ირაკლი ოქრუაშვილს.

– სოსო, შვილი დაგეღუპა. შენ კონკრეტული ადამიანი იცი, ვის გამოც შვილი დაგეღუპა, მოგცემ იარაღს და მოსთხოვე პასუხი – უპასუხა ირაკლი ოქრუაშვილმა.

– შენ ვერც ოპოზიციაში იქნები და ვერც მთავრობაში, სანამ მე ცოცხალი ვარ. ახლა რომ მქონდეს იარაღი, პირდაპირ გესროდი! – უთხრა რობაქიძემ.

– ნეტავ, რამის თავი გქონდეს! – უპასუხა ოქრუაშვილმა.

* * *

„ახალი თაობა“ ბუტა რობაქიძის დედას, **ია მეტრეველს** ესაუბრა.

– ქალბატონო ია, გუშინდელი პროცესი საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა. ირაკლი ოქრუაშვილი დაიკითხა. თითქმის ყველა პროცესი ხმაურით მიმდინარეობს. რისი თქმა შეგიძლიათ და თუ გაქვთ იმედი, რომ ყველაფერი ობიექტურად დასრულდება?

– იმედი ნამდვილად მაქვს ობიექტურად დასრულების. 85 მოწმე იყო დაკითხული და ყველა ადებს ხელს დამნაშავეებს. წყალი არ გაუვა იმ ამბავს, რომ იქ მიტანილია ყველაფერი და გაყალბება მოხდა. უდანაშაულო ბავშვებს დააბრალეს ბანდიტობა და მთელი არსენალი მიიტანეს. გამოჩნდა ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი თანამონაწილე, მოწმე ბაქრაძე, რომელმაც თავიდან ბოლომდე აღიარა სიმართლე. ის ძებნაზეა, მაგრამ ჩაერთო სკაიპით და ყველაფერი მოყვა.

ამ ჩვენებით დადასტურდა ყველაფერი, რისთვისაც ამდენი წელია ვიბრძვით. 85-მა მოწმემ დაადასტურა, რომ იარაღი იქ იყო მიტანილი და ბიჭებს რომ არ ჰქონდათ იარაღი.

– გურამ დონაძე უარყოფს ამას.

– დონაძეს აბა სხვა რა დარჩენია. თანაც არის ამხელა გაიძვერობის გამოცდილებით, რომელსაც თუ რამე უბედურება და სიბინძურე ხდებოდა, ყველაფერში ეგ იყო ჩართული. ცდილობს თავისი გაიძვერობით სიტუაციის შეცვლას, მაგრამ ეს ყველაფერი ფუჭია და არაფერი აღარ ეშველება მაგას. ბაქრაძის ჩვენება კი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ის იყო ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, ის თავად აღიარებს, რომ ისიც დამნაშავეა და თავად აღიარებს, რომ ჩაუდო ხელყუმბარა ერთ-ერთ ბიჭს.

ის ბავშვი ყვებოდა კიდეც, როგორ ჩაუდეს ხელყუმბარა და ამოიცნო კიდეც ბაქრაძე. ბაქრაძემაც დაადასტურა, რომ ეს ასე იყო და აღიარა თავის დანაშაული. ამ ადამიანმა მოყვა მთელი სიმართლე და რაღა უნდა იყოს ამაზე მეტი, მე არ ვიცი?! იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე დასრულდება ეს ყველაფერი. 14 წლის შემდეგ მაინც სამართალი აღსრულდება.

– თქვენ ფიქრობთ, რომ დონაძე პასუხს აგებს?

– რა თქმა უნდა, აუცილებლად აგებს და არა მარტო დონაძე. ის დანარჩენი ხუთი პირიც, ვინც არიან დაკავებული და მე მარტო ამაზე არ ვაპირებ გაჩერებას.

– რას გულისხმობთ?

– მე იმ პოლიციელების წინააღმდეგ უნდა შევიტანო აუცილებლად საჩივარი და დაიწყოს გამოძიება. არაადამიანური მოპყრობა და წამება იყო ფაქტიურად, როგორც იქცეოდნენ ის პატრულები და პოლიციელები, თუ როგორ ექცეოდნენ იმ უდანაშაულო 19-20 წლის ბიჭებს. ისინი კადრებში ძალიან კარგად ჩანან, თუ როგორ გამოირჩევიან სისასტიკით და მათ აუცილებლად უნდა აგონ პასუხი. მე არ ვაპირებ გაჩერებას!

– დაკითხეს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, ირაკლი ოქრუაშვილი, რომელმაც განაცხადა, ორივე მხარეს იმედები გავუცრუეო. რას იტყოდით მის განცხადებებზე?

– მე დიდი იმედი იმის, რომ ოქრუაშვილი სიმართლეს იტყოდა, არ მქონდა. მაშინ მას უნდა ეღიარებინა ის, რომ დაფარა დანაშაული. რა თქმა უნდა, მისგან არ ველოდი, რომ იტყოდა სიმართლეს, მაგრამ მე მინდოდა, რომ საზოგადოებას დაენახა კიდევ ერთხელ, რომ სწორედ ის იყო მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი, მისი კომპეტენცია იყო ეს ყველაფერი. მას ძალიან უნდა, პასუხისმგებლობა აიცილოს, მაგრამ ვერ მოსცილდება პასუხისმგებლობა. პროცესზეც რაღაც აბსურდულზე ისაუბრა.

–კერძოდ?

– მე სულ სხვა საქმეებზე ვიყავი გადართული და არ ვიცოდიო, ზუსტად რა მოხდაო. თუ მინისტრი იყო, უნდა ეგო პასუხი და სცოდნოდა ყველაფერი, თუ არა და მაშინ სხვა სამინისტროში ბრძანებულიყო. როდესაც შეიტყო, რა მოხდა, უნდა მოეხდინა ფაქტზე რეაგირება და დაესაჯა დამნაშავეები. მაგრამ ის ამას არ იზამდა, ვინაიდან სწორედ მისი და სააკაშვილის ბრძანებით მომდინარეობდა ეს ყველაფერი. პატრულის იმიჯი რომ არ უნდა შელახულიყო, ამას გაიძახოდა სააკაშვილი და ოქრუაშვილიც იქ ბრძანდებოდა, როგორც მე მაქვს ინფორმაცია.

მინდოდა პროცესზე მისთვის ერთი დეტალი შემეხსენებინა და მღელვარების გამო დამავიწყდა, ახლა თქვენი გაზეთის მეშვეობით შევახსენებ: პოლიტპატიმრების კომისიის წევრი ვიყავი მე და როდესაც ჯერი დადგა, რომ ვიყავი თუ არა თანახმა მის ჩამოსვლაზე, ვინაიდან ის იყო ჩემს საქმეში ბრალდებული, მე მაშინ ხმა მივეცი იმას, რომ ის ჩამოსულიყო საქართველოში. მაინც ვფიქრობდი, რომ შეაწუხებდა რაღაც კაცობა, ყველაფერს ფარდას ახდიდა და სიმართლეს იტყოდა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას!

– დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხიც?

– მე როგორც მაქვს ინფორმაცია, ეს საქმე გაყვეს ორად და ახლა გამოძიება მაღალჩინოსნების მიმართ დაიწყება. მე იმედი მაქვს, რომ თუ ეს გამოძიება დაიწყება, ალბათ მასაც აუცილებლად მოუწევს პასუხისგება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა მანქანები იჯარით ექსგამგებლისა და მისი მამისგან მიიღო

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშით, 2015-16 წლებში ლანჩხუთის იმდროინდელმა გამგებელმა ზაზა ურუშაძემ მუნიციპალიტეტს მისი საკუთარი მანქანა იჯარით გადასცა. მუნიციპალიტეტმა იჯარით მიიღო ურუშაძის მამის კუთვნილი ავტომობილიც.

როგორც ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში ვკითხულობთ, იჯარის პირობების მიხედვით, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფდა სატრანსპორტო საშუალების მოვლა-პატრონობის ხარჯებს.

საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, თანამდებობის პირს უფლება არ აქვს ქონებრივი გარიგება დადოს იმ სახაზინო დაწესებულებასთან, რომელშიც მას თანამდებობა უჭირავს. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნით, აღნიშნული საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმებით დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

აუდიტის სამსახური თავის დასკვნაში აღნიშნავს, რომ გამგებლის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა Volkswagen Passat-ის საწვავის გამოყენება არ ფიქსირდება 2016 წლის ივნისი-ოქტომბრის თვეებში, თუმცა ამავე პერიოდში ავტომანქანაზე გაწეულია სხვადასხვა სახის ხარჯი:

– კერძოდ, შეცვლილია საბურავები, გამოცვლილია ზეთი, ანტიფრიზი და სხვ. შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა იჯარით აყვანილ სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციაზე ხარჯები გასწია ისე, რომ მისი გამოიყენება არ მომხდარა მუნიციპალიტეტის საჭიროებისთვის შესაბამის პერიოდში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად 2015 წელს სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 7 ერთეული ავტომანქანით, ხოლო 2016 წელს – 8 ავტომანქანით. აღნიშნული ავტომანქანების ექსპლოატაციისათვის, აუდიტის ანგარიშის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული საწვავის მოხმარების ლიმიტების შესაბამისად, 2015-16 წლებში დახარჯულია 172.1 ათასი ლარი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნით, მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა 2015 წელს 1 ერთეულით, ხოლო 2016 წელს – 2 სატრანსპორტო საშუალებით აღემატება მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას.

„ნეტგაზეთი“ ზაზა ურუშაძეს დაუკავშირდა პოზიციის დასაფიქსირებლად, თუმცა მან მხოლოდ ის გვითხრა, რომ საკუთარი ოჯახის ავტომობილების მულიციპალიტეტისთვის მიქირავებით, ბიუჯეტის თანხები დაზოგა. მან დამატებით განმარტების გაკეთება და კითხვებზე პასუხის გაცემა არ ისურვა.

ნეტგაზეთი

გია მაისაშვილი გარდაიცვალა

გია მაისაშვილი გარდაიცვალა 56 წლის ასაკში პოლიტიკოსი და ლიდერთა სკოლის დამფუძნებელი გია მაისაშვილი გარდაიცვალა.

მაისაშვილი ბოლო რამდენიმე წელია მძიმე სენს ებრძოდა. მას თავის ტვინის სიმსივნის დიაგნოზი 2015 წელს დაუსვეს.

პოლიტიკოსი ბოლო წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, სადაც მკურნალობის კურსს გადიოდა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რატომ გაუჩნდა კალაძეს „ევროპულ საქართველოსთან“ თანამშრომლობის სურვილი

გადააბარებს თუ არა „ოცნება“ მათ ხელისუფლებას

შორენა მარსაგიშვილი

„ქართული ოცნებისა“ და „ევროპული საქართველოს“ სიამტკბილობაზე უკვე ლეგენდები დადის. აქამდე ხელისუფლება ყოფილი ხელისუფლების ნაწილთან თანამშრომლობას უარყოფდა. გუშინ, 26 თებერვალს, თბილისის მერმა, კახა კალაძემ აღიარა, რომ მმართველ გუნდს „ევროპულ საქართველოსთან“ თანამშრომლობა სურს.

– „ევროპულ საქართველოსთან“ ვთანამშრომლობთ იმიტომ, რომ ისინი არიან კონსტრუქციულები. დესტრუქციულ, მარგინალურ ძალასთან არ ვაპირებთ არანაირ თანამშრომლობას, – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

რას ნიშნავს კახა კალაძის აღიარება, რა რეაქცია ექნება საზოგადოებას ძველი და ახალი ხელისუფლების ჩახუტებაზე, რით ვეღარ შეაშინებენ ხალხს და როდის ამოეწურება მას მოთმინების რესურსი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ „კავკასიის ისტორიის გეოპოლიტიკისა და ეკონომიკური კვლევების ცენტრის“ დირექტორი ნიკოლოზ მეტრეველი ესაუბრება.

ნიკოლოზ მეტრეველი:

– სახელმწიფოს უნდა მართავდნენ ინსტიტუციები და არა – ერთი ან ორი კაცი. ჩვენ არაერთხელ ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ სამი ძირითად ბურჯი, რაზედაც სახელმწიფო უნდა იდგეს – სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება – ამ ქვეყანაში სტაგნაციას განიცდის.

ვერ გაიგებ, ვინ იღებს გადაწყვეტილებებს, ვინ ვის დაქვემდებარებაშია, ვინ ვის ნიშნავს და ხსნის... და ეს ხდება ძალიან მძიმე სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის პირობებში. საზოგადოებაში მოთმინების რესურსი იწურება.

სახელმწიფოს მართვაში საკადრო პოლიტიკა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ზოგიერთ შემთხვევაში, გადამწყვეტი ფაქტორია. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი შემთხვევითი ხალხია ხელისუფლებაში. გროტესკული და დილეტანტი ადამიანები ინიშნებიან სხვადასხვა თანამდებობებზე და მათი ერთადერთი ამოცანაა, რაც შეიძლება დიდხანს გაჩერდნენ თანამდებობებზე, რომ რაც შეიძლება მეტი ფული ჩაიდონ ჯიბეში.

დღეს უკვე ის ნარატივი, რომ „ქართულ ოცნებას“ თუ მწვავედ გავაკრიტიკებთ, ისევ ნაცმოძრაობა დაბრუნდება, აღარ მუშაობს.

– თქვენ გეგულებათ ისეთი ძალა, რომელიც დღეს „ქართულ ოცნებას“ ჩაანაცვლებს?

– ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ დღეს საქართველოში არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ გააჩნია ისეთი საკადრო და ინტელექტუალური რესურსი, რომ ცალკე ერთად აღებულმა აიღოს მთელი პასუხისმგებლობა. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება კოალიციური მთავრობის შექმნა.

– უკვე აშკარაა, რომ „ოცნება“ და ყოფილი ხელისუფლება მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ისეთი ვარაუდიც ისმის, რომ შესაძლოა მათთვის მოხდეს ხელისუფლების გადაბარება. ეს რეალურად მიგაჩნიათ?

– ეს ვარაუდი, სამწუხარო, რეალობაა ჯერ კიდევ 2012 წლიდან, რაც დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან – დანაშაულებრივის ტოლფას შეცდომადაა მიჩნეული ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილის მხრიდან.

დღეს სასამართლო და სამართალდამცავ სისტემაში სავალალო მდგომარეობაა, რისი ნათელი დასტურია მრავალ დანაშაულში ეჭვმიტანილი და იმიჯშელახული მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა. ეს არის დანაშაული. კი არ უნდა დანიშნო, უნდა გამოიძიო მათი უკანონო გადაწყვეტილებები და ვინც დასასჯელია, დასაჯო, ვინც გასაყრელია, გაყარო სასამართლო სისტემიდან.

არავის სჯერა, რომ ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის არსებული ე.წ „კოაბიტაცია“ ან სამართლიანობის აღადგენს, ან ქვეყანას წაიყვანს წინ. ამჟამად არსებული პოლიტიკური სიტუაცია მხოლოდ მანკიერი და არაეფექტური ორპარტიული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას ემსახურება.

– და თუ მაინც მოხდა ძველი რეჟიმისთვის ხელისუფლების გადაბარება, რა რეაქცია ექნება ხალხს, რომელიც ნაციონალებზე გამწარებულია, მაგრამ ველარც „ოცნებას“ იტანს?

– რაც შეეხება საკაშვილის ხელისუფლების ნარჩენებისათვის ხელისუფლების გადაბარებას: წინა რეჟიმის დანაშაული იმდენად მძიმეა, რომ ვინმეს რომც გაუჩნდეს მსგავსი სურვილი, ამას საზოგადოების მხრიდან უმწვავესი რეაქცია მოჰყვება. ამ რეაქციის ლოგიკური შედეგი იქნება ორივე პოლიტიკური ძალის სრული გაქრობა.

– დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ, რომელიც „ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერია, გამოთქვა „ევროპულ საქართველოსთან“ თანამშრომლობის სურვილი. როგორ შეაფასებდით მის ამ ნაბიჯს?

– თბილისსაც და საქართველოსაც ახალი იდეების, მაღალი კომპეტენციის, პატიოსანი ადამიანები სჭირდება. თუ მერს არ ახსოვს და ვერ ხედავს ნაციონალური მოძრაობის ამ ნაწილის მმართველობის შედეგებს, საზოგადოებას ეს კარგად ახსოვს. ამ ადამიანებს სასამართლომ თუ არა, ჩვენმა მოქალაქეებმა განაჩენი უკვე გამოუტანეს. ძნელად წარმოსადგენია, „ევროპულმა საქართველომ“ რა შეიძლება შესთავაზოს სასარგებლო და მისაღები ჩვენს დედაქალაქს.

– ხელისუფლება მრავალი მიმართულებით იჩენს უნიათობას. ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა ოკუპირებული რეგიონები. თქვენი აზრით, აღარ აინტერესებს საქართველოს აფხაზეთი და სამაჩაბლო?

– ჩემს შეფასებებში ხელისუფლებასთან მიმართებაში კრიტიკული ვარ, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ ხელისუფლებაში ან თუნდაც ქართულ საზოგადოებაში, მცირე და მოღალატე ნაწილის გარდა, ყველას აწუხებს ოკუპირებული ტერიტორიებისა და ჩვენი დევნილი თანამემამულეთა მდგომარეობა. მთავრობამ რუსეთთან მიმართებაში საკუთარი პოზიცია, საერთაშორისო თანამეგობრობაზე დაყრდნობით გაცილებით უფრო მკაცრი და პრინციპული უნდა გახადოს.

ნიკოლოზ მეტრეველი: „ამას საზოგადოების მხრიდან უმწვავესი რეაქცია მოყვება. მოხდება ორივე პოლიტიკური ძალის სრული გაქრობა“

გია ხუხაშვილი: „ქართული ოცნების“ ერთადერთი საინტერესო კანდიდატი ივანიშვილი იქნებოდა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრეზიდენტ მარგველაშვილის განცხადებაზე საუბრობს.

– ბატონო გია, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა გუშინ განაცხადა, თუ იქნება საჭიროება, კენჭს ვიყრი, თუ არა, უფრო მშვიდ ცხოვრებას ვირჩევ. მას ჯერ გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული და როგორც თქვა, პოლიტიკურ გარემოებას აკვირდება. რა შემთხვევაში შეიძლება იყაროს კენჭი?

– პრეზიდენტ მარგველაშვილის ეს პოზიცია, ჩემთვის სიახლე არ ყოფილა. მარგველაშვილისთვის ბევრად უფრო კომფორტული და ბუნებრივია, იყოს სახელმწიფო მოღვაწე საზოგადოებრივი პლატფორმიდან, ვიდრე ის იყოს მოქმედი პოლიტიკოსი. პოლიტიკა, თავისთავად გარკვეულ შეზღუდვებს გულისხმობს, რაც მისთვის ბუნებრივი მდგომარეობა არ არის. მარგველაშვილი უფრო საზოგადო მოღვაწეა, ვიდრე პოლიტიკური მოღვაწე. შესაბამისად, მას თუ ექნა იმის კომფორტი, რომ გადაინაცვლოს იმ სფეროში, სადაც მან მთელი ცხოვრება გაატარა, რა თქმა უნდა, ეს მისთვის, როგორც ადამიანისთვის, უკეთესი იქნება. ის თავისუფალი ადამიანია და ჩარჩოში ყოფნა უჭირს. თუმცა, პოლიტიკურმა პროცესმა შეიძლება არ დაუტოვოს სხვა შანსი, გარდა იმისა, რომ პოლიტიკაში დარჩეს და კიდევ ერთხელ იყაროს კენჭი. ეს მისთვის ცუდი გადაწყვეტილება იქნება, მას ეს არ უნდა და ეს სრულიად ღიად გვითხრა. თუმცა, როგორც ვხედავთ, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მას ამ ნაბიჯის გადადგმისკენ უბიძგოს.

– პირიქით არ არის?

– ხო, რა ვიცი, ნამდვილად პირიქით უნდა იყოს, მაგრამ თავისი არაკომპეტენტურობით, პოლიტიკური გამოუცდელობიდან გამომდინარე აკეთებს ამას ხელისუფლება. „ქართულ ოცნებაში“ ფიქრობენ, უფროსწორად საშინელი შემოტევები აქვთ, თუ პრეზიდენტი ხმას ამოიღებს, ე.ი. რაღაც ცუდს აპირებს და იწყება გაუგებარი, ყოველგვარი რაციონალური ახსნის გარეშე მასზე თავდასხმები, სრული ისტერიკა. არ შეიძლება ამას რაიმე საერთო ჰქონდეს პოლიტიკურ პროცესთან. სხვას ვერაფერს ვერ დავარქმევ პრეზიდენტის ნებისმიერ გამოთქმაზე მათ ამ არაადეკვატურ რეაქციებს.

– როდესაც მარგველაშვილი უკან დასახევს ტოვებს და ამბობს, თუ იქნება საჭირო კენჭს იყრის, რა შემთხვევა შეიძლება იყოს ეს?

– ალბათ მარგველაშვილი კენჭს იყრის იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მასზე ამ შეტევებს გააგრძელებს და ეჭვქვეშ დააყენებს მისი, როგორც პრეზიდენტის, როგორც პიროვნების როლს. ასევე, ეჭვქვეშ დააყენებს იმ ფასეულობებს, რისთვისაც ის, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე და როგორც ადამიანი, იბრძვის. თუ „ქართული ოცნება“ გააგრძელებს იმ შეთქმულების თეორიას, რომელიც ლამის სახელმწიფო გადატრიალებით დაწყებული და სხვა ათასი უბედურებით დამთავრებული არაერთგზის გვსმენია, მაშინ რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს ეს გადაწყვეტილება გიორგი მარგველაშვილისთვის, ის მიიღებს ამ გამოწვევას და კენჭს იყრის მეორე ვადით. ისე, საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, პოლიტიკაში შესვლა ძალიან ადვილია, იქიდან გამოსვლა კი ძალიან რთული. სამწუხაროდ, უკვე მხოლოდ შენი გადასაწყვეტი აღარ არის, ხშირ შემთხვევაში ბევრ რამეს უკვე გარემოება განსაზღვრავს.

არც იმას არ გამოვრიცხავ, რომ საჭიროდ არ თვლიდეს, რომ ბოლომდე თქვას თავის პოზიცია და ეს პოზიცია გარკვეული მოვლენების, გარკვეული პროცესების შემდეგ გაამხილოს. თუმცა, ეს მაინც მისი გადაწყვეტია.

– ბატონო გია, „ქართულ ოცნებას“ დღემდე არ ჰყავს კანდიდატი თუ საგულდაგულოდ მალავს?

– არ ჰყავთ, თუმცა, არც დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება მმართველი პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი.

– რატომ?

– რა მნიშვნელობა აქვს ვინ იქნება, როდესაც ლიდერები არ ჰყავთ, იქ ხომ ყველა ერთია, ერთ დონეზეა ყველა. „ქართული ოცნების“ ნებისმიერი კანდიდატი აიღებს ზუსტად იმდენ ხმას, რამდენსაც მოახერხებს თავისი რესურსებით „ქართული ოცნება“.

– ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი?

– ამ შემთხვევაში მე ვსაუბრობ პარტიაზე, რომელიც მმართველი პარტიაა, რომელსაც პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს, მაგრამ ამ პარტიაში არ მომხდარა ლიდერების ფორმირება. ამ პარტიაში ლიდერები უბრალოდ არ არსებობენ. აქედან გამომდინარე, როგორც არაერთხელ მითქვამს, რა მნიშვნელობა აქვს, მათი კანდიდატი ენძელა მაჭავარიანი იქნება თუ გიორგი კვირიკაშვილი?! აბსოლუტურად არანაირი, მეტსაც გეტყვით, ენძელა მაჭავარიანი მეტ ხმას აიღებს, ვიდრე გიორგი კვირიკაშვილი.

– ნამდვილად ასე ფიქრობთ?

– გეტყვით, რატომ ვფიქრობ ასე. ამ ქალბატონს არაფერი დაუშავებია თუ არ გაუკეთებია. შესაბამისად, მის მიმართ არ არის აგრესია, ნეგატიური რეიტინგი მას არ აქვს, განსხვავებით კვირიკაშვილისგან.

ერთადერთი, რაც ამ ვითარებას რადიკალურად შეცვლიდა, რაც სახელმწიფოებრივად იქნებოდა მნიშვნელოვანი და ძალიან პოზიტიური ნაბიჯი, თუ ბიძინა ივანიშვილი სახელმწიფოს მეთაური გახდებოდა. ეს გადაწყვეტილება ძალიან ბევრ პრობლემას მოაგვარებდა.

– კონკრეტულად?

– პირველ რიგში, ჩრდილოვან მმართველობაზე მუდმივი სპეკულაცია შეწყდებოდა. მეორე, ყველაფერზე პასუხისმგებლობას მაინც ყველა ბიძინა ივანიშვილს აკისრებს და არა მხოლოდ ხალხი და ოპოზიცია, არამედ თავად ხელისუფლება, „ქართული ოცნებაც“ კი. ამიტომ ვამბობ, რომ ეს გადაწყვეტილება ქვეყნის ინსტიტუციურ წესრიგს აღადგენდა, პლუს აღმასრულებელ ხელისუფლებას სხვაგვარი, სხვა დონის მუშაობა მოუწევდა უკვე. ივანიშვილის პრეზიდენტობის შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლება ასე ტყუილად ვეღარ იჯდება და მათ საქმის კეთება მოუწევთ. თუ ბიძინა ივანიშვილი არა, მაშინ სულ ერთია, ვინ იქნება მათი კანდიდატი და ეს არ იქნება ძალიან მნიშვნელოვანი და ძალიან საინტერესო.

– გამორიცხავთ, რომ ყველაფერი აქეთკენ მიდის, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებაზე ფიქრობდეს ივანიშვილი?

– ღმერთმა ქნას. თუ აქეთკენ წავიდა ყველაფერი, მაშინ მე ვთხოვდი გიორგი მარგველაშვილს, რომ კენჭი არ ეყარა და უარი ეთქვა, ეს მისი მხრიდან პოლიტიკური ჟესტიც იქნებოდა.

გურამ ვახტანგაშვილი: „მე ვიცი, რომ ცხინვალის ციხეში 3-4 ქართველი ჰყავთ“

გულიკო ბალაძე

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში კიდევ ერთი ქართველის არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობის ფაქტს „ახალ თაობასთან“ პარლამენტის ყოფილი წევრი ლიახვის ხეობიდან **გურამ ვახტანგაშვილი** აფასებს.

– ბატონო გურამ, როგორ აფასებთ კიდევ ერთი ქართველი ახალგაზრდის ტატუნა შვილის მკვლელობას ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში?

– საოკუპაციო რეჟიმი, მით უმეტეს, რუსეთის, მკვლელობებს და მსგავს ქმედებებს არასოდეს შეეშვება. არაადამიანურად მოექცნენ ჯანმრთელ ვაჟკაცს. კიბეებზე დაგორება და მსგავსი რაღაცეები ნაკლებად დასაჯერებელია. შეიძლება ადგილამდე, ე.წ. პოლიციამდეც არ ჰყავდათ მიყვანილი და კაცი გზაში შემოაკვდათ.

– ე.ი. თქვენ არ გჯერათ ცხინვალის რეჟიმის ოფიციალური განცხადების?

– რაღაც შეთხზეს. იმაზე ადგილი დასადგენი რა არის, შემოაკვდათ, კიბეებზე დაგორდა თუ რაღაც მოხდა. საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოითხოვეს ჩვენი ექსპერტების შეშვება. მოთხოვნისთანავე რომ შეეშვათ, მაშინვე დადგინდებოდა, ნაცემი იყო, რამე დარტყმული ჰქონდა თუ კიბეებზე დაგორდა. კიბეებზე დააგორეს თუ ჩექმებით სასტიკად სცემეს, ექსპერტი დაადგენდა. ექსპერტი მაშინვე რომ არ შეუშვეს, არ დაასწრეს ექსპერტიზას, შაბათ-კვირას რომ არ გადმოგვცეს, ჩემი აზრით, ეს იმას ნიშნავს, საოკუპაციო რეჟიმს ან შემოაკვდა, ან მოკლეს.

– ანუ ცხედარი ამდენ ხანს რომ არ გადმოგვცეს, ესეც იმის მიმანიშნებელია, რომ შემოაკვდათ ან მოკლეს?

– დიახ, ესეც იმის მანიშნებელია, რომ კიბეებზე დაგორებით არ მომკვდარა. ქართველებმა, ჩვენმა ძალოვნებმა რაც უნდა გააკეთონ, აქედან ვერ დავადგენთ, კიბეებზე დაგორდა თუ კიბეებამდე მოკლული იყო. ცხედრის გადმოცემას რომ აყოვნებენ, ეს უკვე იმის მტკიცებულებაა, რომ რა ვერსიაც საოკუპაციო რეჟიმს აქვს, არასწორია.

– ტატუნა შვილი ახალგორის მკვიდრია, ხომ?

– დიახ. მე ახალგორელებს ძალიან ბევრს არ ვცნობ, მაგრამ, როგორც გავიგე, ახალგორის მკვიდრია და კარგი ახალგაზრდა ყოფილა, ჯარშიც უმსახურია. შეიძლება ხშირად რომ შედიოდა ახალგორში, მასზე უკვე ყველა მონაცემი შეგროვებული ექნებოდათ. ძმამ თუ ახლობელმა განაცხადა, 2008 წლის ომშიც მონაწილეობდაო. მათ ისიც ეცოდინებოდათ, 2008 წლის ომში თუ მონაწილეობდა. 2008 წლის ომში ვინც მონაწილეობდა, მათთვის ყველა მტერია. ყველა მათგანი

შეუძლიათ დაიჭირონ თუ ხელში ჩაუვარდათ.

– ომის მონაწილეების პირდაპირ მკვლელობაზე გადადიან და ე.წ. გამოძიებასა და სასამართლოსაც აღარ იყენებენ მის წინააღმდეგ?

– ე.წ. სასამართლოსაც იყენებენ. ლამისყანელი ახალგაზრდა ეცადა შვილი რომ ჰყავდათ დაჭერილი, მის წინააღმდეგ ვერაფერი იპოვეს და გამოუშვეს. ტატუნა შვილი დაკავებიდან ერთ დღეში დაიღუპა, ეს იმას ნიშნავს, მისი ომში მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია თუ ჰქონდათ, შემოაკვდებოდათ.

– თურმე ახალგორში ხშირად დადიოდა.

– დიახ, სახლიც ჰქონია. ბევრი ახალგორელი შედის და გამოდის, ე.წ. პროპუსკები აქვთ. ხშირად შედიან, პროდუქტი შეაქვთ. ალბათ, იქიდანაც გამოაქვთ. იმდენი რუსული პროდუქტი რომ იყიდება მაღაზიებსა და ბაზრობებზე, საიდან შემოდის.

– 2008 წელს, როდესაც ომის პროცესები მიმდინარეობდა, შეიძლებოდა თუ არა ახალგორის შენარჩუნება? მახსოვს, ომის შემდეგ სააკაშვილს საყვედურობდნენ, დევნილებს უფლებას არ აძლევდა ახალგორში უკან დაბრუნებულიყვნენ. სააკაშვილის ხელისუფლების სურვილი იყო, რაც შეიძლება მეტი დევნილი ჰყოლოდათ. რადგან იმხელა ტერიტორიები დაიკარგა და ახალგორის შენარჩუნებაზე აღარ ფიქრობდნენ. თქვენ აღნიშნული პროცესები როგორ გაქვთ გაანალიზებული?

– თქვენ იცით, როგორ ვიყავი ჩართული იმ პროცესებში (ორი მოწვევის დეპუტატი ვიყავი და ხეობაში ხშირად ვიმყოფებოდი. მხოლოდ ახალგორის შენარჩუნება კი არა, პატარა ლიახვის ხეობის შენარჩუნებაც შეიძლებოდა. დიდი ლიახვის ხეობის შენარჩუნება არ შეიძლებოდა. ტანკები და ჯარი ისედაც ბევრი ჰყავდათ, მაგრამ რუსებმა როკის გვირაბით დამატებით ჯარი და ტანკები რომ შემოიყვანეს, თამარაშენი, კეხვი, აჩაბეთი, ქურთა, ხეისი პირველ დღესვე დაიკავეს. იქ ჯარი 8-ში უკვე შემოსული იყო. 8 აგვისტოს ცხინვალში შესული ქართული ჯარი ხომ გამოვიდა, ავიაცია ბომბავდა და ჩვენებს სხვა საშუალება არ ჰქონდათ, უკან რომ არ დაეხიათ, მაგრამ ჩვენს ხეობაში რუსები 11 აგვისტოს შემოვიდნენ.

ხეობიდან პოლიცია და ჯარი რომ არ წამოსულიყო, შენარჩუნებული იქნებოდა. რომელ ექსპერტს და ვისაც უნდა დავუმტკიცებ, რომ პატარა ლიახვის ხეობის შენარჩუნება შეიძლებოდა. ახალგორზე აღარაფერს ვამბობ, რომ მისი შენარჩუნება შეიძლებოდა. 12-13 აგვისტოს გორი იყო აღებული (კადრებიც არსებობს), იგოეთიდან რომ გადაუხვიეს და იქ ჩვენი პოლიცია იდგა. 11-12 აგვისტოს საერთაშორისო საზოგადოება ჩაერია და რომ არ ყოფილიყო ბრძანება კოდორის ხეობის დატოვებისა და გამოსვლის თაობაზე, პატარა ლიახვის ხეობას, ახალგორის ხეობას და კოდორის ხეობას 100-ით შევინარჩუნებდით. ვინც ჩემს ინტერვიუს გამოეხმაურება და უარყოფს, ერთი ერთზე დავუჯდები და დავუმტკიცებ, როგორ შეიძლებოდა პატარა ლიახვის ხეობის შენარჩუნება. 11-12 აგვისტომდე პატარა ლიახვის ხეობაში კაცი შვილი არ შემოსულა, არც რუსის, არც ოსისა და არც კაზაკის ჭაჭანება არ იყო. დიდი ლიახვის ხეობა კი დაკარგული იყო.

– თუ გქონდათ იმ დღეებში ვინმესთან შეხვედრა, როდესაც დევნილებს იქით, ახალგორში არ უშვებდნენ?

– მახსოვს, რომ არ უშვებდნენ და მაშინდელი პრესაც წერდა ამაზე, რომ იყო ხელისუფლების რაღაცნაირი მოწადინება. ახალგორიდან ქართველები ხომ არ გამოვიდნენ ბოლო მომენტამდე, როგორც ლიახვის ხეობიდან, ასევე კოდორიდან და გაწვალდნენ შემოვლით გზაზე. პატარა ლიახვის ხეობაში რუსის ჯარი რომ შემოვიდა, ჩვენ, ფაქტობრივად, დაცლილი გვქონდა ხეობა. რუსის ჯარი შემოვიდა ხეობაში და თან ხალხიც გამოვიდა. ახალგორის მოსახლეობა ხუთი დღის შემდეგაც ადგილზე იყო. რუსის ჯარი რომ შევიდა, მერე გამოვიდნენ.

– ძალიან კარგი იქნებოდა, თუ შეინარჩუნებდნენ ამ ტერიტორიებს, რადგან ჩაეშლებოდათ სააკაშვილის მიერ შექმნილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციითა და ოლქის აღდგენით, ე.წ. რესპუბლიკის შეკოწიწება.

ე.წ. საზღვრებს და მავთულხლართებს რომ გვიკეთებენ.

– თავისთავად, ცხადია. 2008 წლამდე ყოფილი სამხრეთ ოსეთის 49-50%-ს ჩვენ ვაკონტროლებდით. დიდი ლიახვის ხეობის 9 სოფელს, პატარა ლიახვის ხეობის 12 სოფელს, ფრონეს ხეობას (ყოფილი ზნაურის რაიონის ნაწილი) და ახალგორს 100%-ით ვაკონტროლებდით. ოსები და რუსები აკონტროლებდნენ მხოლოდ ცხინვალს, ჯავასა და ზნაურს.

– ფაქტობრივად, იმის გამო, რომ ჩვენ არ გვქონდა უკანდახევის გეგმა, თან მგონი ბრძანება გაიცა, რომ დაეტოვებინათ ტერიტორია და გამოიქცნენ, დავკარგეთ ტერიტორიები.

– ორი დღეც რომ გავჩერებულიყავით და ჩვენი ჯარი არ გამოსულიყო (ცხინვალიდან იძულებული გახდა გამოსულიყო, რადგან იბომბებოდა და მთელი უბედურება ტრიალებდა. იქ დაგვეღუპა ყველაზე მეტი ჯარისკაცი. ეს იყო 8 აგვისტოს) შევინარჩუნებდით. პატარა ლიახვის ხეობაში, მაგალითად, ჩემს სოფელში 11 აგვისტომდე არავინ შემოსულა და არც ერთი სახლი არ იყო დამწვარი. შემდეგ შემოვიდნენ რუსები და ოსები და ყველა სახლი გადაწვეს, ერთიც არ დატოვეს მთელი.

– ითქვა, რომ დღეს, 26 თებერვალს, უნდა გაიმართოს ორმხრივი ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების კომისიის სხდომა ერგნეთში. იქ ალბათ მოითხოვენ მოკლული ტატუნა შვილის გადმოცემას. თქვენ რომ იყოთ, რას ეტყოდით?

– ახლა რაც გინდა უთხარი, ახალგაზრდა კაცი მოკლეს. რა უნდა უთხრა, ისინი იტყვიან, კიბეზე დაგორდაო, ჩვენები ეტყვიან, არ დაგორებულაო.

– ცხედარსაც რომ არ იძლევიან?

– ცხედარს გადმოსცემენ, აუცილებლად. ოსებიც ქრისტიანები არიან. ალბათ უბედურად მოკლეს, თორემ მიცვალებულის გადმოცემას არ დააყოვნებდნენ. გამორიცხულია, რომ არ გადმოსცენ.

– ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, ცხინვალის ციხეში ქართველები კიდევ არიან?

– მე ვიცი, რომ ცხინვალის ციხეში 3-4 ქართველი ჰყავთ.

– ტერორისტული აქტის განხორციელება თუ უნდა ვინმეს ცხინვალის რეგიონში, აქამდე ერთსაც ვერ განახორციელებდნენ.

– ჩვენი პოლიტიკა სამშვიდობოა, თორემ თუ ტერორისტული აქტის მოწყობას მოინდომებენ, ჯავასა და იმის იქით წავლენ და იქ მოაწყობენ ტერაქტს. რუსის ჯარი კი დგას, მაგრამ ყველა წერტილში ხომ არ დგას. ჩვენი პოლიტიკა კი არის მშვიდობიანი, მაგრამ არც მშვიდობიანად გამოდის ურთიერთობა და არც ისე. 27 წელი გავიდა, რაც კონფლიქტია, უკვე ერთი თაობა გაიზარდა.

არჩილ ტატუნაშვილის ცხედარი ექსპერტიზაზე რუსეთში გადაგზავნეს

რის დამალვას ცდილობს ცხინვალი

შორენა მარსაგიშვილი

ოკუპირებული ცხინვალის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, თბილისთან მიცვალებულით ივაჭროს. გუშინ, 26 თებერვალს, მათმა ხელისუფლებამ გვითხრა რომ არჩილ ტატუნაშვილის ცხედარს ვერ გადმოგვცემდა. უარს იმით ხსნიან, რომ ცხედარს ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს.

ვიდრე ცხინვალის ხელისუფლება მიცვალებულით ვაჭრობს, დანარჩენ საქართველოში არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსიები ვრცელდება. ერთ რამეზე ყველა თანხმდება – ქართველი სამხედრო მოკლეს.

ტატუნაშვილის საკითხზე იყო მსჯელობა ერგნეთში, ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის ჯგუფის არაგეგმიურ შეხვედრაზე. შეხვედრა ქართული მხარის მოთხოვნით ჩატარდა.

როგორც სუს-ის წარმომადგენელმა კახა ქემოკლიძემ აღნიშნა, ცხინვალის წარმომადგენლებმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე გარდაცვლილი არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემაზე ამ ეტაპზე უარი განაცხადეს.

ცხინვალის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ცხედრის საფუძვლიანი ექსპერტიზა ვერ ჩატარდა, რის გამოც, რუსეთის ფედერაციის საექსპერტო ბიუროს მიმართეს და აღნიშნულ პროცედურებს და ექსპერტიზას რამდენიმე დღე დასჭირდება.

ქართულმა მხარემ ვერ მიიღო კონკრეტული პასუხი საქართველოს ორი მოქალაქის, ლევან ქუტაშვილს და იოსებ პავლიაშვილის გათავისუფლებაზეც.

ამ უარმა, ბუნებრივია, ტატუნაშვილის ოჯახის ახლობლების გაღიზიანება გამოიწვია. მათ ნატახტართან გზა გადაკეტეს და განაცხადეს, რომ არ დაიშლებიან, სანამ ოსური მხარე ცხედარს არ დააბრუნებს.

მათ დასამშვიდებლად ჩავიდნენ დიმიტრი ხუნდაძე და სოზარ სუბარი. ადგილზე მობილიზებული იყო სპეცრაზმიც.

გუშინ, 26 თებერვალს, გვიან ცნობილი გახდა, რომ ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა არჩილ ტატუნაშვილის ცხედარი რუსეთის ფედერაციაში გადააგზავნა. ამის შესახებ ინფორმაციას ოსური მედია ავრცელებს.

ადგილობრივი გამოცემები წერენ, რომ საქართველოს მოქალაქის ცხედარს ექსპერტიზა რუსეთში ჩაუტარდება.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ცისელაშვილი მიიჩნევს, რომ საოკუპაციო რეჟიმი ცხედრის გადმოცემასთან დაკავშირებით დროის გაყვანას ცდილობს.

– ადგილი აქვს დროის გაჭიანურების ხელოვნურ მცდელობას. გარემოებები არის ძალიან ბუნდოვანი, უკვე ბუნდოვანიც აღარ არის, რამდენადაც არის ძალიან წინააღმდეგობრივი. გასაგებია, ხდება ერთი რამ, არჩილ ტატუნაშვილის მიმართ განხორციელდა უკანონო დაკავება, ძალის გამოყენება, რასაც შედეგად მოჰყვა მისი სიცოცხლის ხელყოფა. მაღალი პრიორიტეტია ის, რომ ისინი იქნენ გათავისუფლებული ძალიან მალე, იყვნენ უსაფრთხოდ და არ მოხდეს მათ მიმართ რაიმე დამატებითი ზომების გამოყენება, – აცხადებს ციხელაშვილი.

მისივე თქმით, ცხედრის გადმოცემის გაჭიანურება სხვა ვერსიას არ ტოვებს, გარდა იმისა, რომ მისი სიცოცხლის ხელყოფა მოხდა. ამის შესახებ ციხელაშვილმა რადიო „პალიტრის“ ეთერში განაცხადა.

მინისტრის თქმითვე, არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლე შეეწირა საოკუპაციო რეჟიმს და პასუხისმგებლობა ეკისრება მთლიანად საოკუპაციო რეჟიმს, გარდა იმისა, რომ ცალსახად ამაში კონკრეტული პირები მონაწილეობენ.

* * *

ტატუნაშვილების ახლობლების მიერ გზის გადაკეტვის გამო ნატახტართან სიტუაცია რამდენჯერმე დაიძაბა. სპეცრაზმი რამდენჯერმე შეეცადა აქციის მონაწილეების დაშლას.

ხელისუფლების წარმომადგენლებს გარდაცვლილის ახლობლები ამაოდ უხსნიდნენ, თუ რატომ გადაკეტეს მათ გზა. მათი განცხადებით. ამ გზით ხშირად სარგებლობენ რუსეთის მოქალაქეები და ოკუპანტებმა უნდა იცოდნენ, რომ ქართველები მათ მიერ ჩადენილ უკანონობებზე რეაგირებენ.

აქციის მონაწილეებს საკმაოდ უსამოვნო საუბარი ჰქონდათ სოზარ სუბართანაც. რომელიც ამტკიცებდა, რომ ეს აქცია რუსეთის წისქვილზე ასხმადა წყალს.

– აბსოლუტურად ყველა ნაბიჯი გადადგმულია, თუმცა, როცა საქმე ეხება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს, ყველამ კარგად ვიცით, თუ რა ბერკეტები არსებობს, – განაცხადა სუბარმა.

სუბარი პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ჯგუფების განცხადებებსაც გამოეხმაურა. მინისტრმა მათ თავშეკავებისგან მოუწოდა.

– ყველანაირი სპეკულაცია და დაძაბული სიტუაცია მხოლოდ რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

მარტის ბოლომდე ოკუპირებულ აფხაზეთში დაგეგმილია 5.000 ბინადრობის მოწმობის გაცემა

აფხაზეთს რუსული სუბსიდიები არ ყოფნის

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზეთის ძირძველ მოსახლეობას – ქართველებს, უცხოელების მსგავსად, ოკუპირებული აფხაზეთის რეჟიმი ბინადრობის მოწმობებს რომ სთავაზობს, თავის დროზე ამის გამო აღშფოთება ევროსტრუქტურებმაც გამოთქვეს.

ეს შეშფოთება და მოწოდება ჯერჯერობით ისეთივე უნაყოფოა, როგორც გიგა ოთხოზორიას მკვლელის დასჯის აუცილებლობაზე გაკეთებული განცხადებები.

გალის რაიონში გაიმართა გამსვლელი სხდომა ვიცე-პრემიერ ასლან კობახიას ხელმძღვანელობით. მასში მთავრობისა და საპასპორტო სამსახურების გარდა, რამდენიმე რაიონის ადმინისტრაციები მონაწილეობდნენ. სხდომაზე დაისახა ბინადრობის მოწმობების წლის ბოლომდე დარიგების ამოცანა. მარტის ბოლომდე დაგეგმილია 5.000 ბინადრობის მოწმობის გაცემა.

ოკუპირებულმა რეჟიმმა ბინადრობის მოწმობების დარიგებაც რომ მოახერხოს, პასპორტიზაციის პროცესში მაინც დაბრკოლებები ექმნება. ეს წინააღმდეგობა თვითონ ხელისუფლებამ შექმნა. ბოლო კანონი მოქალაქეობის შესახებ ავალდებულებს ადამიანს, რომელსაც მოქალაქეობა, ანუ პასპორტი უნდა, დაასაბუთოს, რომ 1994-1999 წლებში აფხაზეთიდან არ გასულა. ეს მოთხოვნა ვრცელდება მათზე, ვინც აფხაზი არ არის. ამის გამო პასპორტიზაციამ აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ ნაწილი მოიცვა. ადამიანები ვერ ამტკიცებენ, რომ აფხაზეთი არ დაუტოვებიათ. ნაწილი იმ წლებში აფხაზეთში არ იმყოფებოდა. ამ ადამიანებს არ ესმით, ამის გამო რატომ ვერ უნდა აიღონ პასპორტი.

შესაძლოა, ჩაფლავებულმა პასპორტიზაციამ უფრო გააღრმავოს აფხაზეთის ხელისუფლებაში არსებული კრიზისი. ექსპერტებმა კრიზისის ნიშნები დაინახეს ვიცე-პრემიერ ბესლან ეშბას გადადგომაში. მათი აზრით, ეშბამ დისკრედიტირებულ მთავრობაში ყოფნა აღარ ისურვა, რითიც საკუთარი რეპუტაცია გადაირჩინა.

ცოტა ხანში ეშბას კიდევ ერთი ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი, დმიტრი სერიკოვი მიჰყვა.

სერიკოვი მოსკოველია და აფხაზეთის მთავრობაში მოსვლამდე რუსული მობილური კავშირის ოპერატორი კომპანია „აკვაფონის“ მენეჯერი იყო. ამ რუსული კომპანიის უკანონო საქმიანობა თბილისს წლების წინ არაერთხელ გაუპროტესტებია.

კომენტატორების უმრავლესობის აზრით, სერიკოვის საკვანძო პოსტიდან წასვლა ამტკიცებს, რომ აფხაზეთის ხელისუფლების საქმიანობა ჩავარდა.

ერთ-ერთი ოპოზიციონერი ირინა აგრბა აცხადებს, რომ მთავარი პრობლემა უფულობაა. ფინანსთა მინისტრი უფულოდ ვერ იმუშავებს.

– ფინანსთა მინისტრი ამბობს, რომ ფული არ არის. პრეზიდენტი ირწმუნება, ფული არისო. ამ პირობებში ფინანსთა მინისტრი საკუთარი პოტენციალის რეალიზაციას ვერ მოახდენს, – აღნიშნავს აგრბა.

აფხაზეთის ბიუჯეტი რუსული სუბსიდიებითა და ადგილობრივი შემოსავლებით ყალიბდება. ყოფილი ფინანსთა მინისტრი ვლადიმერ დელბა აცხადებს, რომ რუსული ფინანსების მხრივ პრობლემები არ არის:

– რუსული სუბსიდიების მექანიზმი დიდი ხანია მუშაობს ორმხრივი შეთანხმებების, მთავრობათაშორისი კომისიების ოქმების საფუძველზე. აქ ყველაფერი სტაბილურადაა.

თუ ყველაფერი სტაბილურადაა, მაშინ გამოდის, რომ ოკუპირებული რეგიონი სტაბილურად განიცდის თანხების უკმარისობას მოსკოვიდან და ვერც საკუთარ ეკონომიკას ავითარებს.

აფხაზეთის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე ხშირად საუბრობს ოპოზიცია, რომელიც იანვრის ბოლოს ხაჯიმბას წინააღმდეგ გაერთიანდა.

ამის საბაბი ხაჯიმბას მიერ „ტყის ძმების“ წევრის გიორგი ლუკავას შეწყალება და თბილისისთვის გადმოცემაა. საქმე აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა განიხილოს. ეს პროცესი, ალბათ, გაჭიანურდება, ვინაიდან 5 დეპუტატი ასაჩივრებს პარლამენტის იმ დადგენილებას, რომელმაც ამ სასამართლოს ბოლო წევრი, ალისა ბიგვავა, დაამტკიცა.

კახა მიქაია: „სირაქლემასავით ქვიშაში თავჩარგულ ხელისუფლებას ერთ ადგილზე რომ უკბინოს ფაროსანამ, მერე საღ მიდიან?“

შორენა მარსაგიშვილი

აზიურმა ფაროსანამ „ქართულ ოცნებას“ თავგზა სერიოზულად აურია. ჯერ იყო და მათმა ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ჭიჭინაძემ განაცხადა, გლეხებს მავნებელთან ბრძოლა როგორ უნდა ასწავლოთ, განათლება არა აქვთო. გუშინ, 26 თებერვალს, პარლამენტში სოფლის მეურნეობის მინისტრი გამოვიდა და ითხოვა, ფაროსანას დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ჩვეულებრივი მწერიაო.

ლევან დავითაშვილისთვის ჩვეულებრივ მწერად შერაცხულმა მავნებელმა მთელი გურია და სამეგრელო ააოხრა. საოცნებო ხელისუფლებამ მასთან საბრძოლველად გასულ წელს 17 მილიონი გამოყო, წელს კი 50 მილიონის დახარჯვას აპირებს.

– ფაროსანას გარდა, ბევრი მიმართულებაა სოფლის მეურნეობაში. ის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი გამოწვევაა, მაგრამ არა ერთადერთი, ესაა სასოფლო-სამეურნეო მავნებელი და მარტივად რომ ვთქვათ, ისაა მწერი – ამაზე ამდენი ყურადღების გამახვილება გადაჭარბებულიც არის, – განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა.



მინისტრის ამ შეფასებამ გურისა და სამეგრელოს მოსახლეობა აღაშფოთა. გაგიკვირდებათ და დეპუტატი დავით ჭიჭინაძე აღშფოთდა. მისი თქმით, ფაროსანასთან დაკავშირებით მინისტრის განცხადება, სულ მცირე, არაკორექტულია.

– თუ ჩვენ 20 მილიონიდან 50 მილიონამდე გავზარდეთ, პარლამენტმა განგაშის ზარი შემოვკარით, რომ ქვეყანას რაღაც პრობლემა ჰქონდა, ალბათ, მე მგონი, სულ მცირე არაკორექტულია, რომ უბრალოდ მწერად მოვიხსენიოთ, მაშინ რატომ გავზარდეთ 20 მილიონიდან 50 მილიონამდე მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

ლევან დავითაშვილის ისტორიულმა შეფასებამ ყველაზე მეტად „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი კახა მიქაია აღაშფოთა.

როგორც მან „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო პრობლემას ვერ აგვარებს და სირაქლემას პოზაში მყოფი ელოდება, როდის დაგვანებებს თავს მავნებელი.

„დაიცავი საქართველოს“ ლიდერი ხელისუფლებას ურჩევს, პოზა შეცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში არ გამორიცხავს, რომ მავნებელი მთავრობას უადგილო ადგილზე უკბენს.

– დავითაშვილის ეს განცხადება კიდევ ერთხელ მოწმობს იმაზე, რაც მე არაერთხელ მითქვამს: დღევანდელი ხელისუფლება და კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო უძლურია ფაროსანასთან წინააღმდეგ ბრძოლაში. მან არ იცის, როგორ ებრძოლოს ფაროსანას, ჯერაც ვერ აცნობიერებს იმ საშიშროების მასშტაბებს, რაც შეიძლება ამ პროცესს მოჰყვეს, თუკი ფაროსანას წინააღმდეგ ხელისუფლებამ არ დაიწყო სერიოზული ბრძოლა.

ხელისუფლებამ ამ განცხადებით გადაწყვიტა, სირაქლემასავით თავი ჩარგოს ანაკლიის სანაპიროს ქვიშაში და დაელოდოს, როდის დატოვებს ნებაყოფლობით ჩვენ ტერიტორიას ფაროსანა, რუსეთის საოკუპაციო ჯარისგან განსხვავებით.

სერიოზულად არ შეიძლება სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადების აღქმა. სირაქლემასავით ქვიშაში თავჩარგულ ხელისუფლებას ერთ ადგილზე რომ უკბინოს ფაროსანამ, სად მიდიან ესენი? – აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში კახა მიქაიამ.

სამშენებლო კომპანია „სვეტის“ დაზარალებულმა მენაშენეებმა გამაფრთხილებელი აქცია გამართეს

სამშენებლო კომპანია „სვეტის“ დაზარალებულმა მენაშენეებმა თბილისის მერიასთან გუშინ გამაფრთხილებელი აქცია გამართეს. ისინი პრობლემების მოსაგვარებლად მერიისგან დახმარებას ითხოვენ.

როგორც აქციაზე „სვეტის“ მენაშენეებმა განაცხადეს, კომპანია „სვეტის“ წარმომადგენლებმა მათ უთხრეს, რომ მირცხულავას ქ. №9/11-ში მშენებარე კორპუსების მშენებლობის დასრულებას ვერ ახერხებენ. ადგილზე მხოლოდ ორი სართულია აშენებული, როცა 2017 წლის დეკემბერში მენაშენეთა ნაწილს კორპუსში უკვე ბინები უნდა ჰქონოდათ და საცხოვრებლად შესულიყვნენ. ადგილზე სულ 18 კორპუსი უნდა აშენდეს.

აქციის ერთ-ერთი მონაწილის, გრიგოლ სირბილაძის თქმით, მას წინასწარ უკვე გადახდილი აქვს 73 ათასი დოლარი ორი ბინის შესაძენად. მშენებლობა „ალდაგს“ ჰქონდა დაზღვეული, რის გამოც, ამ კომპანიას ენდნენ. თუმცა გაარკვიეს, რომ 23 თებერვალს „ალდაგმა“ მშენებლობის დაზღვევა შეწყვიტა.

აქციის მონაწილეები სამშენებლო კომპანიასთან წარმოქმნილი პრობლემების მოსაგვარებლად აქციების პერმანენტულად გამართვას გეგმავენ.

საქართველოში ლუდის იმპორტი იზრდება

საქართველოში ლუდის იმპორტი ბოლო ხუთი წლის მანძილზე თითქმის გაორმაგებულია. როგორც Bm.ge-ს „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან“ აცნობეს, 2017 წელს, 2013 წელთან შედარებით, ლუდის იმპორტი 45%-ით გაიზარდა და ჯამში 11,3 მილიონი ლიტრი შეადგინა, მაშინ როდესაც, 2013 წელს ეს მაჩვენებელი 7,8 მილიონ ლიტრს უდრიდა.

თუ შევადარებთ 2017 წელს 2016 წლის მაჩვენებელს, ლუდის იმპორტი 38%-ით გაიზარდა, 2016 წელს ქვეყანაში 8,2 მილიონი ლიტრი ლუდის იმპორტი განხორციელდა.

რაც შეხება იმპორტის მონაცემებს ფულად გამოსახულებაში, „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ ინფორმაციით, ლუდის იმპორტის ზრდამ ბოლო ხუთ წელში 35% შეადგინა და 2017 წელს ქვეყანაში სულ 10 მილიონი ლარის ღირებულების ლუდი შემოვიდა, 2013 წელს კი 7,4 მილიონი ლარის.

2016 წელთან შედარებით კი გასულ წელს 43% -ით მეტი ღირებულების პროდუქციის იმპორტი განხორციელდა. კერძოდ, თუ 2017 წელს ქვეყანაში 10 მილიონი ლარის ღირებულების ლუდი შემოიტანეს, 2016 წელს ამ მაჩვენებელმა 7 მილიონი ლარი შეადგინა.

2018, 27 თებერვალი, №48

ტაქსისტებს შესაძლოა მოგების გადასახადის გადახდა მოუწიოთ

თბილისის მერიის ინიციატივა, ტაქსების აღრიცხვას და ლიცენზირებასთან დაკავშირებით იყო გადაცემა „თბილისი ლიდერთა შორის“ მთავარი თემა, რომელსაც რადიო „კომერსანტი“ და „ინოვაციების და განვითარების ფონდი“ წარმოგიდგენთ.

კონკრეტულად რას გულისხმობს ეს რეგულაცია და გამოიწვევს თუ არა ის თვითდასაქმებულთა უმუშევრად დატოვებას? თბილისის საკრებულოს დეპუტატის შალვა ოგბაიძის განმარტებით, ავტომობილი რომ ტექნიკურად გამართული უნდა იყოს, ეს უდავოა.

– გაზის აპარატურიდან ჟონავდეს გაზი და დაცული არ იყოს სანიტარული ნორმები, დაუშვებელია. ყველა ვაღიარებთ, რომ ეს პრობლემა მოსაგვარებელია, საუბარია ყველაზე უმოკლეს და ოპტიმალურ გზაზე ამ მიზნის მისაღწევად, თითოეული ჩვენთაგანის და ჩვენი ოჯახის წევრის მგზავრობა უნდა იყოს უსაფრთხო. ტაქსის მძღოლი უნდა იყოს დაცული როგორც მატერიალური თვალსაზრისით, ასევე ავტომობილის ტექნიკური გამართულობის თვალსაზრისით, – აცხადებს ოგბაიძე.

გლდანის მაჟორიტარმა რადიო „კომერსანტის“ ეთერში ყურადღება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე გაამახვილა, რომელიც სატრანსპორტო სფეროში ავტომობილების სავალდებულო ტექნიკურ ინსპექტირებას გულისხმობს. ოგბაიძის თქმით, ინიციატივის პირველი ეტაპი ამ სფეროში დასაქმებულთა ზუსტი რაოდენობის გარკვევას გულისხმობს, შემდგომი ეტაპები კი საკრებულოს წევრისთვის ამ დროისათვის უცნობია.

რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ ტაქსის მძღოლები? მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის მამუკა მუმლაძის განმარტებით, საკმარისი იქნება მართვის მოწმობის და ავტომობილის ტექნიკური პასპორტის წარდგენა, თუ მისი არ არის ავტომობილი, ამ შემთხვევაში მეპატრონის ნებართვა იქნება საჭირო.

მოთხოვნა იქნება, რომ მათ ჰქონდეთ ტაქსის აღმნიშვნელი ნიშანი და როდესაც მგზავრი ჩაუჯდება მძღოლს ავტომობილში, იყოს საინფორმაციო პატარა დაფა, რითაც მგზავრს ექნება საშუალება, იდენტიფიცირება მოახდინოს თუ ვინ ემსახურება მას. არავითარი კვალიფიკაცია, არავითარი მოთხოვნები. უბრალოდ, გაჩნდება ვალდებულება, რომ მათ მოიპოვონ ნებართვა, რომელიც ეღირება სიმბოლური ფასი, – აცხადებს მუმლაძე.

განსხვავებული პოზიცია აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია „ვექტორის“ დამფუძნებელ სერგი გიგანს.

– შეცდომაში შეჰყავთ საზოგადოება, როდესაც საუბრობენ, რომ უნდა მოხდეს რეგულაციები იმისთვის, რომ ტაქსები ტექნიკურად იყოს გამართული და რომ სანიტარული ნორმები იყოს დაცული. აქ მთავარი მიზანი არის ის, რომ ისინი გახდებიან გადახდის უნარიანები, მათი აღრიცხვა მოხდება და ისინი გადაიხდიან ჩვეულებრივ მოგების გადასახადს, – აცხადებს გიგანი.

მოსახლეობის შეცდომაში შეყვანაზე საუბრობს საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარე დავით მესხიშვილიც.

– მოსახლეობის ნაწილს მოსწონს ახალი რეგულაციები იმიტომ, რომ მათ არასწორად მიაწოდეს ინფორმაცია და უთხრეს, რომ ლიცენზირების შემდეგ ტაქსი იქნება ტექნიკურად გამართული, რაც არის ტყუილი, იმიტომ, რომ ტაქსის ტექნიკურ გამართულობას უზრუნველყოფს არა ლიცენზია, არამედ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება, – აცხადებს მესხიშვილი.

ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარის განცხადებით, აუცილებელია საზოგადოებამ იცოდეს, რომ ეს კანონპროექტი ტაქსის მომსახურების გაძვირებას გამოიწვევს.

მესხიშვილი დარწმუნებულია, რომ კანონპროექტის ამოქმედება ტაქსის გაძვირებასთან ერთად კლიენტურის შემცირებასაც გამოიწვევს, რაც პირდაპირ აისახება მძღოლების შემოსავლებზე.

გადაცემაში მერიის ინიციატივაზე ტაქსის მძღოლმა ანზორ ჯალაღონიამაც ისაუბრა, რომელიც დარწმუნებულია, რომ ეს კანონპროექტი ბევრ ტაქსისტზე უარყოფითად აისახება.

– ჩვენ თუ დაგვტვირთავენ ზედმეტი პრობლემებით, არ ვიცით, რა გამოვა. თითქმის ნახევარი ვერ ვაკმაყოფილებთ მოთხოვნებს. დავრჩებით უმუშევრები. რაღაც რეგულაციები შეიძლება საჭირო იყოს, მაგრამ მოსახლეობა ამისთვის ჯერ მზად არ არის. ეს რეფორმა სადამსჯელო არ უნდა იყოს ჩვენთვის, კარგი იქნება თუ მსუბუქი ფორმით გატარდება, – განაცხადა ანზორ ჯალაღონიამ.

„საგადასახადო მიზნებისათვის ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების ერთმანეთისაგან არგამიჯვნა დაუშვებელია“

ორი წლის წინ საქართველოს მთავრობამ საგადასახადო სფეროს შემდეგი ლიბერალიზაციის ეტაპი, ე.წ. „ესტონური მოდელი“ შეარჩია, რომლის მიხედვით მოგების რეინვესტირების შემთხვევაში კომპანიები მოგების გადახდისგან თავისუფლდებიან.

მაშინვე გამოითქვა ამ იდეის მოწონება და მხარდაჭერა როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სექტორიდან, რომ რეფორმა მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც ცალკეული კომპანიებისათვის, ისე ჯამურად ქვეყნის ეკონომიკისათვის. პარალელურად, რეფორმის სასარგებლოდ ისიც ითქვა, რომ ის ამარტივებდა საგადასახადო აღრიცხვასა და ადმინისტრირებას.

„არდი დაზღვევის“ გენერალური დირექტორი ქართლოს ყორანაშვილი „კომერსანტთან“ განმარტავს, რომ „ესტონური მოდელი“ ზოგადადაც გამართლებულია და რეალობაშიც გაამართლა. მისი განცხადებით, გარკვეული თვალსაზრისით, ის ნაწილობრივ აბალანსებს ქვეყანაში არსაბანკო ფულადი რესურსების უკმარისობას, მათ შორის, საფონდო ბაზრისა თუ სხვა საინვესტიციო შიდა რესურსების არარსებობის პირობებში: ბიზნესს განსავითარებლად აღარ უწევს ძვირი კრედიტის ძიება იმ ნაწილში, რაც მან წლის განმავლობაში მოიპოვა. ხოლო რეინვესტირების შედეგად გაძლიერებული კომპანია უფრო განვითარებულ სერვისებს, უფრო შემძლე დამსაქმებელს და, სამომავლოდ, გადასახადის უფრო მსხვილ გადამხდელს ნიშნავს.

როგორც ყორანაშვილი განმარტავს, „ესტონური მოდელი“ დასაწყისიდანვე არ გავრცელდა საფინანსო სექტორზე: ბანკებზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და სადაზღვევო კომპანიებზე.

– ახლაც, ორი წლის შემდეგ, კვლავ გაჟღერდა, რომ საფინანსო სექტორის მიმართ „ესტონური მოდელის“ ამოქმედება კვლავ უნდა გადავადდეს 2023 წლამდე. არადა, დაუშვებელია საგადასახადო მიზნებისათვის ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების ერთმანეთისაგან არგამიჯვნა. არც ისტორიულად, არც ფინანსურად და არც დანიშნულებით ისინი ერთნაირები არ არიან.

სადაზღვევო კომპანიების სოციალური და მათი საფინანსო კრიზისებში მონაწილეობის როლი დღითიდღე იკვეთება თუნდაც იმით, რომ სახელმწიფო ნელ-ნელა იწყებს გარკვეული გამოწვევების მათზე დელეგირებას. მაგალითად, საკმაოდ წარმატებულად დაწყებული აგროდაზღვევის პროგრამა, მასობრივი თავშეყრის ობიექტების დაზღვევის საპილოტე პროგრამა.

ასე რომ, სადაზღვევო კომპანიებს მეტად თუ არა, არანაკლებ სჭირდებათ განვითარებაში ხელშეწყობა, როგორც ნებისმიერ სხვა სექტორს, რადგან სწორედ სადაზღვევო კომპანიებმა უნდა განავითარონ მოსახლეობისა თუ სხვადასხვა ბიზნესების სადაზღვევო მხარდაჭერის შესაძლებლობები და ამით შეიტანონ წვლილი საზოგადოებასა და ეკონომიკაში.

მით უმეტეს, როცა წელს სადაზღვევო კომპანიებს კაპიტალის მიმართ მოთხოვნები გაეზარდათ და, ასევე, სადაზღვევო რეზერვების მიმართულებით კიდევ არაერთი ცვლილება იგეგმება, ამის პარალელურად მათი ხელშეწყობაც არ უნდა გადავადდეს, – განმარტავს ყორანაშვილი.

მამუკა ბახტაძე: „ბანკებისთვის ამ ეტაპზე დამატებითი პრეფერენციების საჭიროება არ დგას“

ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე საფინანსო სექტორისთვის მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელის გადადების მიზეზებს განმარტავს.

მინისტრის განცხადებით, „ამ ეტაპზე აღნიშნულ სექტორს არსებული საგადასახადო რეჟიმიც ეყოფა იმისთვის, რომ განვითარდეს“. ამის შესახებ მან სოციალურ ქსელში პირდაპირ ეთერში დასმული ერთ-ერთი შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.

ბახტაძის თქმით, საბანკო სექტორს საკმარისი თანხები გააჩნია, რომ მომხმარებელს უფრო კონკურენტუნარიანი სერვისი შესთავაზოს.

– თუ ნახავთ ქართული საბანკო სისტემის ფინანსურ ანგარიშგებებს, მარტივია იმ აზრამდე მისვლა, რომ არსებულ საგადასახადო რეჟიმშიც კი ქართული საბანკო სისტემას აქვს საკმარისი თანხები, რომ განვითარდეს, მომხმარებელს უფრო კონკურენტუნარიანი სერვისები შესთავაზოს. საფინანსო სექტორში მხოლოდ საბანკო სექტორი არ შედის. ჩვენ ცალკე განვიხილავთ სადაზღვევო ბიზნესთან აღნიშნული რეგულაციის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას. ვფიქრობ, რომ აქ შესაძლებელია კონსენსუსის მოძებნა, – აღნიშნა მამუკა ბახტაძემ.

მისივე თქმით, საბანკო სექტორისთვის ამ ეტაპზე დამატებითი პრეფერენციების საჭიროება არ დგას.

– მნიშვნელოვანი კონსულტაციები გვქონდა თავად ბანკებთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. საერთო კონსენსუსია ის, რომ ბანკებს აღნიშნული საგადასახადო რეჟიმიც ეყოფათ, რათა განვითარდნენ. ასევე, მეორე მიზეზი, რის გამოც გადავავადეთ მათთვის ესტონური მოდელის ამოქმედება, არის ის, რომ კაპიტალის ბაზრების განვითარება დავიწყეთ.

აქამდე ბანკები ამ მხრივ აქტიურობდნენ და იმედი გვაქვს, რომ შემდგომშიც ბანკები კაპიტალის ბაზარს განავითარებენ და ახალი მიმართულების ათვისებასაც შეძლებენ. გადავწყვიტეთ, რომ საბანკო სექტორისთვის დამატებითი პრეფერენცია არ მიგვეცა, – განმარტა ფინანსთა მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელი 2017 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედდა. საფინანსო სექტორისთვის აღნიშნული მოდელი 2019 წელს უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, მისი ამოქმედება 2023 წლის 1-ელ იანვრამდე გადაიდო.

წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე 1,3 მილიარდი ლარი დაიხარჯება

წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე, ქვეყნის მასშტაბით, მილიარდ 300 მილიონი ლარი დაიხარჯება, – ამის შესახებ Bm.ge-ს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ განუცხადა.

– სამინისტროს ბიუჯეტი წელს დაახლოებით ნახევარი მილიარდი ლარით გაიზარდა და მილიარდ 815 მლნ ლარი შეადგინა. აქედან უდიდესი წილი, 70 პროცენტზე მეტი, საგზაო პროექტებზე დაიხარჯება. 2013-2016 წლებში, ამ მიმართულებით, ყოველწლიურად ნახევარ მილიარდ ლარზე ცოტა მეტი იხარჯებოდა, გასულ წელს 870 მილიონზე მეტი გამოიყო, წელს კი დაახლოებით მილიარდ 300 მლნ ლარის დახარჯვაა გათვალისწინებული, – განაცხადა ზურაბ ალავიძემ.

მისივე განმარტებით, გრძელდება ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის პროცესი წითელი ხიდიდან სარფამდე, რომლის დასრულებაც 2021 წლისთვისაა დაგეგმილი. ამ ეტაპზე, მშენებლობა შემდეგ მონაკვეთებზე მიმდინარეობს: სამტრედია-გრიგოლეთის ოთხ ლოტზე, რაც ჯამში 50 კმ-ზე მეტია, ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის 15 კმ-იან მონაკვეთზე, ქობულეთის შემოვლითი გზის მეორე ლოტზე (18 კმ) და ბათუმის შემოვლით გზაზე (13 კმ).

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა 2006 წელს დაიწყო და 2013 წლამდე 70 კმ-მდე გზა აშენდა, 2013-2017 წლებში კი – 120 კმ-ზე მეტი. საერთო ჯამში, ამ ეტაპზე, აშენებულია დაახლოებით 190 კმ გზა.

გარდა ამისა, მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები რვა მონაკვეთზე, ესენია: ჩუმათელეთი-ხევი, ხევი-უბისა, უბისა-შორაპანი, შორაპანი-არგვეთა, ბათუმი (ჭოროხი)-სარფი, რუსთავი-წითელი ხიდი, ალგეთი-სადახლო, გრიგოლეთი-ჩოლოქი. ამ მონაკვეთების საერთო სიგრძე დაახლოებით 140 კილომეტრია.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის გარდა, 2018-2021 წლებში განხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა: თბილისი-ბაკურციხე, ბაკურციხე-წნორი, გურჯაანი-თელავი, ჟინვალი-ლარსი, ნატახტარი-ჟინვალი, მდინარე რიონზე ფოთის ხიდის მშენებლობა, ბაღდათი-აბასთუმნის გზა, ლენტეხი-მესტიის გზა, ზემო იმერეთი-რაჭის გზა, სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტას გზა, ძირულა-ჩუმათელეთი, ხულო-გოდერძის უღელტეხილი. ამ გზების ნაწილზე საპროექტო დოკუმენტაცია უკვე მზადაა, ნაწილზე კი პროექტირება მიმდინარეობს.

ჯამში, ამ გზების საერთო სიგრძე 700 კმ-ზე მეტია.

ფიზიკური დაპირისპირება ზუგდიდის სასამართლოსთან

აფხაზეთის ე.წ. საზღვართან ტაბელური იარაღიდან გასროლის შედეგად გარდაცვლილი წვევამდელის ბექა რუსიას საქმეზე ბრალდებულს, დავით ჯალაღანიას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

როგორც ზუგდიდის საქალაქო სასამართლოდან „ნიუპოსტის“ კორესპონდენტი იტყობინება, ფაქტს რუსიების გაღიზიანება მოჰყვა.

სასამართლოს დასრულების შემდეგ, გარდაცვლილი წვევამდელის ოჯახი მსჯავრდებულის ოჯახს ფიზიკურად გაუსწორდა.

რუსიას ოჯახი უკმაყოფილოა მოსამართლე შოთა ბიჭიას მიერ გამოტანილი განაჩენით და სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

ოჯახი ალექსანდრე კვიჟინაძის დაკავებას მოითხოვს, რომლის იარაღიდანაც მოხდა გასროლა.

ანა დოლიძე: „არ შეიძლება, იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქმეს წარმართავდეს, როგორც „ნუცას სკოლა“

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ლევან თევზაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევას ანა დოლიძე გაუგებარს და „ახალ პრობლემას“ უწოდებს.

– იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც არის კონსტიტუციური ორგანო და ის არეგულირებს სასამართლოსა და მოსამართლეთა საქმიანობას, არ შეიძლება, თავის საქმეს წარმართავდეს, როგორც „ნუცას სკოლა“. თავმჯდომარეების არჩევას არავითარი პროცედურა და კრიტერიუმები არ აქვს. არ ვიცით, რატომ აირჩიეს ლევან თევზაძე. ასეთ უმაღლესი ლეგიტიმაციის ორგანოს ცოტა მეტი ყურადღება, ცოტა მეტი მოწესრიგება სჭირდება იმისთვის, რომ გადაწყვეტილებები, რასაც ის მიიღებს, ლეგიტიმური, კანონიერი და პატივცემული იყოს საზოგადოებისა და სასამართლოს მიერ, – განაცხადა ანა დოლიძემ.

ბურჭულაძის ვაჟი არ გამორიცხავს, რომ მის ტელეფონში უკანონო შეღწევა მამამისის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდებოდეს



პაატა ბურჭულაძის ვაჟმა შინაგან საქმეთა სამინისტრო დატოვა და მედიასთან კომენტარი გააკეთა.

ალექსანდრე ბურჭულაძის თქმით, მის ელექტრონულ მოწყობილობებში, უკანონო შეღწევა, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს მისი მამის, პაატა ბურჭულაძის პოლიტიკურ საქმიანობასთან.

– გამომძიებელს ყველაფერზე დეტალური პასუხი გავეცი. თუნდაც ჩემს ვარაუდზე, რას შეიძლება ეს უკავშირდებოდეს, – აცხადებს ბურჭულაძე.

„ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „კანონიერი ქურდობისთვის“ სასჯელი მკაცრდება

„ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „კანონიერი ქურდობისთვის“ არსებული სასჯელი მკაცრდება, – სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების შესახებ კანონპროექტი პარლამენტს უკვე წარედგინა.

ცვლილებების თანახმად, ქურდული სამყაროს წევრობა დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 7-დან 10 წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ. დღეს მოქმედი კანონმდებლობით კი, ქურდული სამყაროს წევრობისთვის სასჯელი 5-დან 8 წლამდეა. ამასთან, „კანონიერი ქურდობისთვის“ დღეს არსებული სასჯელი 7-დან 10 წლამდე, შეიცვლება ვადით 9-დან 15 წლამდე.

გარდა ამისა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება ამ მუხლის პირველი ნაწილით („ქურდული სამყაროს“ წევრობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირი, თუ მან ამის თაობაზე ნებაყოფლობით განუცხადა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს და მისი საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა, ან/და მისი უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა ასეთი დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობები, თუ მის ქმედებებში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

ცვლილებების თანახმად, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო.

გარდა ამისა, კანონპროექტის მიხედვით სისხლის სამართლის კოდექსს ემატება რამდენიმე მუხლი. კერძოდ, „ქურდული შეკრების“ ორგანიზება და მასში მონაწილეობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 7-დან 10 წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ.

იგივე ქმედება ჩადენილი „კანონიერი ქურდის“ მიერ ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 9-დან 15 წლამდე ჯარიმით ან უამისოდ.

კიდევ ერთი მუხლი, რომელიც ცვლილებების შედეგად კოდექსს ემატება, ესაა -„ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერა, კერძოდ, ნებისმიერი ქმედება ჩადენილი პირის მიერ, რომლისთვისაც ცნობილია „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის შესახებ და სურდა ან უშვებდა, რომ თავისი აქტიური ქმედებით ხელს უწყობდა „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელებას – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 6 წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ.

იგივე ქმედება ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-დან 7 წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ.

გარდა ამისა, ცვლილებების თანახმად, კოდექსს ემატება კიდევ ერთი მუხლი – „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის/„კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვა, კერძოდ, პირის მიერ „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის/„კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვა „ქურდული გარჩევის“ ან მის ან სხვა პირის სასარგებლოდ ნებისმიერ პირზე ან ნებისმიერი პირის გადაწყვეტილების მიღებაზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა „ქურდული სამყაროს“ წევრი/„კანონიერი ქურდის“ მიერ რაიმე ქმედება ან/და დადგა თუ არა ამ პირისთვის სასურველი შედეგი – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 7 წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ.

იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-დან 8 წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ.

რუსლან ალდამოვმა თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე ჩვენება მისცა

პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაკავებულმა რუსლან ალდამოვმა თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე გამოძიებას ჩვენება მისცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ალდამოვის ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა განუცხადა, ალდამოვმა გამოძიებას ის ეჭვები დაუდასტურა, რაც თავის დროზე მაჩალიკაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოთქვა. კერძოდ, კუბლაშვილის ინფორმაციით, ალდამოვმა ისაუბრა იმ ეჭვებზე, რომ მაჩალიკაშვილი სპეცრაზმელებს მასში აერიათ და თემირლანის ნაცვლად მისი ლიკვიდაცია უნდა მომხდარიყო. გარდა ამისა, ადვოკატმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ტერორიზმის მხარდაჭერის საქმეში გამოძიებას თემირლან მაჩალიკაშვილის წინააღმდეგ არავითარი მტკიცებულება არ გააჩნია.თემირლანთან დაკავშირებით გამოძიებას დღეს, პირდაპირ შეიძლია გითხრათ, რომ არაფერი არ აქვს. მას არც ერთი მოწმე არ ასახელებს საკუთარ ჩვენებაში, არავინ არ ამბობს, რომ თემირლანი სადმე ტრიალებს. ცდილობენ, რომ რაღაც აღიარება დაიდოს, მაგრამ ასეთი რაღაც შეუძლებელია. ერთადერთი, ახალგაზრდები აფიქსირებენ იმას, როგორც მათ, ისევე თემირლანმა, ხეობაში გაიცნეს ეს ჩეჩნები. ისინი დადიოდნენ პანკისში მთელი ზაფხული ისე, რომ პოლიციის შენობასთან გადი-გამოდიოდნენ თავისუფლად, ვინაიდან ალბათ, ამ ბიჭებში ეჭვის შეტანის საფუძველი არავის ჰქონდა. ისინი 2016 წლის ზაფხულშიც აქ იყვნენ, – განაცხადა კუბლაშვილმა.

რაც შეეხება გამოძიების მიერ გავრცელებულ ვიდეოს, სადაც თემირლან მაჩალიკაშვილიც ფიგურირებს, როგორც ადვოკატი ამბობს, ამ კადრებში კიდევ ერთი პირი ფიგურირებს, რომელიც სამართალდამცველებს არ დაუკავებიათ.

„თემირლანთან ერთად სხვა ბიჭიც ჩანს კადრებში, მაგრამ ის არაა დაკავებული“ – აღნიშნა კუბლაშვილმა.

მეზობლის მკვლელობა თავში დანის ჩარტყმით

სენაკის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ჩადენაში ბრალდებული ე.გ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით. ინფორმაციას ამის შესახებ პროკურატურა ავრცელებს.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 28 ივნისს, დაახლოებით 23:10 საათზე, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი, განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ნასამართლევი ე.გ. წარსულში არსებული უთანხმოების გარკვევის მიზნით მეზობელთან – ფ.ზ.-სთან მივიდა. მათ შორის საუბარი კონფლიქტში გადაიზარდა, რა დროსაც ე.გ.-მ განზრახ მოკვლის მიზნით ფ.ზ.-ს თავის არეში დანა დაარტყა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანების შედეგად ფ.ზ. 15 ივლისს გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ე.გ. 2017 წლის 21 ივლისს ქ. თბილისში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი არაერთგზის) წარედგინა და აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. სენაკის რაიონულმა სასამართლომ ე.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ისანში ტაქსი დააყაჩაღეს – ბოროტმოქმედმა 30 ლარი წაიღო

თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე „მერსედესის“ მარკის ავტომანქანის მძღოლს პირმა 30 ლარი წაართვა და მიიმალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

არომატიზებული თამბაქოს კონტრაბანდის ფაქტზე 1 პირი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა არომატიზებული თამბაქოს კონტრაბანდის ფაქტზე ერთი პირი ამხილა.

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, დიდი ოდენობით საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე, ერთი პირი ამხილეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, „MERCEDES BE#Z„-ის მარკის ავტომობილში სპეციალურად მოწყობილი სამალავების მეშვეობით, საბაჟო გამშვები პუნქტი – წითელი ხიდის'გავლით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საბაჟო კონტროლისაგან მალულად გადმოიტანა არადეკლარირებული არომატიზებული თამბაქო, რომლის საბაჟო ღირებულება შეადგენს 6.725 ლარს.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ყვარელში 12 წლის ბავშვი გარდაიცვალა – მოზარდს რკინის კონსტრუქცია დაეცა

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში 12 წლის ბავშვს თამაშის დროს რკინის კონსტრუქცია დაეცა და ადგილზე გარდაიცვალა.

ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროშიც ადასტურებენ.

რუსეთის ქალაქებში ბორის ნემცოვის ხსოვნის აღსანიშნავი მარშები ჩატარდა



რუსეთის ქალაქებში ბორის ნემცოვის ხსოვნის მარშები ჩატარდა. მოსკოვის ქუჩებში 20.000 ადამიანი გამოვიდა, პეტერბურგში 15.000. მარშები ჩატარდა ომსკში, ეკატერინბურგსა და სხვა ქალაქებში.

მოსკოვში გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა ქსენია სობჩაკმა, პოლიტიკოსმა კასიანოვმა და სხვებმა.

ნემცოვის ხსოვნის მარშმა რუსეთის ყველა დემოკრატიული ძალა გააერთიანა.

პოროშენკო: „დონბასში ბელორუსებს არ ჩავაყენებთ“

დონბასში გაეროს ცისფერჩაფხუტიანების ჩაყენების თემა სულ უფრო აქტუალური ხდება. თავისი კონტინგენტის გაგზავნის მზადყოფნა გამოთქვეს შვეიცარიამ, ნორვეგიამ, გერმანიამ, საფრანგეთმა, პოლონეთმა. მათ არც ბელორუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო ჩამორჩა:

– მზად ვართ დონბასში ბელორუსული კონტინგენტი გავაგზავნოთ!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბელორუსი რუსეთზეა მიჯაჭვული. კიევშიც ლუკაშენკოს სიტყვებმა ენთუზიაზმი არ გამოიწვია. პოლიტოლოგმა ტარანმა განაცხადა, რომ ბელორუსული კონტინგენტის საფარქვეშ რუსები იდგებიან.

ამას პოროშენკოც დაეთანხმა.

– დონბასში ბელორუსული კონტინგენტის ჩაყენება გამორიცხულია, – თქვა უკრაინის პრეზიდენტმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გერმანია: ქრისტიან-დემოკრატებმა მინისტრები დაასახელეს

გერმანიაში გრძელდება ახალი კოალიციური მთავრობის ფორმირება.

ქრისტიან-დემოკრატებმა უკვე დაასახელეს მინისტრები, რომლებიც მათი პარტიიდან კოალიციურ მთავრობაში შევლენ. ესენი არიან: ჯანდაცვის მინისტრი იენს შპანი, განათლების მინისტრი ანა კარლიჩეკი, სოფლის მეურნეობის მინისტრი იულია კლიოკერი.

სავარაუდოდ, პოსტს შეინარჩუნებს თავდაცვის მინისტრი ურსულა ფონ დერ ლიანიც, თუმცა მის მიმართ განწყობა არაერთგვაროვანია. თავდაცვის მინისტრის მუშაობით როგორც კანცლერი მერკელი, ასევე მმართველი პარტიაც უკმაყოფილო არიან.

„ალ-ბაღდადი ცოცხალია“

აშშ მის ძებნას აგრძელებს



სირიაში აშშ-ის მეთაურობით მოქმედ საერთაშორისო კოალიციას არ აქვს იმის უტყუარი მტკიცებულება, რომ ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი განადგურებულია.

ამის შესახებ კოალიციის წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა რაიან დილონმა განაცხადა.

– კოალიციას არ აქვს 100%-იანი მტკიცებულება, რომ ის მოკლულია. სავარაუდოდ, ის ცოცხალია, ვინაიდან საპირისპირო მტკიცებულებები არ არსებობს. ამიტომ ჩვენ გავაგრძელებთ მის ძებნას, – განაცხადა დილონმა.

მისი თქმით, კოალიცია გააგრძელებს არა მხოლოდ აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის, არამედ „ისლამური სახელმწიფოს“ სხვა წამყვანი ფიგურების ძებნას.

სლოვაკეთში გამომძიებელი ჟურნალისტი იან კუჩიაკი და მისი მეგობარი გოგო მოკლეს

სლოვაკეთში გამომძიებელი ჟურნალისტი და მისი მეგობარი გოგო მოკლეს.

სლოვაკეთის პოლიციის ცნობით, იან კუჩიაკს და მის მეგობარ ქალს, ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს, რაც, სავარაუდოდ, ჟურნალისტის საქმიანობას უკავშირდება.

27 წლის კუჩიაკი და მისი მეგობარი გარდაცვლილები თავიანთ სახლში, ქალაქ ველკა მაჩაში იპოვეს.

მოკლული ჟურნალისტი იან კუჩიაკი მუშაობდა ინტერნეტგამოცემისათვის. მისი ბოლო სტატია, რომელიც 9 თებერვალს გამოქვეყნდა, ეხებოდა ბრატისლავაში ფეშენებელური საცხოვრებელი კომპლექსის გარშემო გადასახადებთან დაკავშირებულ სავარაუდო თაღლითობას.

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

კალეიდოსკოპი

თევზს გამოკიდებული ზვიგენი მამაკაცს დაეჯახა

ზვიგენი მოზრდილი სკუმბრიის დევნამ გაიტაცა და მამაკაცს დაეჯახა, რომელიც მის გზაზე აღმოჩნდა. ინციდენტი ავსტრალიის ქალაქ კაიამას პლაჟზე მოხდა, რომელიც ახალი სამხრეთ უელსის შტატში მდებარეობს.

35 წლის მხატვარი ადამ ჰოარი თავთხელში ექვსი და სამი წლის შვილებთან ერთად ბანაობდა. მან ამ დროს ნაპირთან მოახლოებული დიდი სკუმბრია შენიშნა და გადაწყვიტა, ბავშვები ნაპირზე გაეყვანა. შემდეგ კი თვითონ ისევ წყალში დაბრუნდა. დაახლოებით ხუთი წუთის შემდეგ ჰოარმა მარცხენა ფეხში ძლიერი ტკივილი იგრძნო.

მხატვარის თქმით, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ურო ჩაარტყეს. მან წონასწორობა დაკარგა და ზვიგენზე დაეცა, რომელიც მის ქვეშ აღმოჩნდა. მტაცებელი თევზი ადამიანით არ დაინტერესებულა და ცურვა განაგრძო. ჰოარას თქმით, ეს ყოველივე ორ-სამ წამს გაგრძელდა.

– ჩემი აზრით, ის სკუმბრიას მისდევდა, – განმარტა მან, – მას ჩემთვის არ უკბენია, უბრალოდ, დამეჯახა.

მამაკაცმა დამოუკიდებლად მოახერხა წყლიდან ამოსვლა და საავადმყოფოში მისვლა, სადაც მას სათანადო დახმარება აღმოუჩინეს.

ბრაზილიელმა გოგონამ ხერხემლის დაზიანების შემდეგ ვარჯიში განაახლა

ფიტნეს-ბლოგერმა მარსელ მანკუსომ ხერხემლის დაზიანების შემდეგ ჯანმრთელობის აღდგენა და სავარჯიშო დარბაზში დაბრუნება შეძლო. გოგონამ ტრავმა ვარჯიშის დროს მიიღო.

ბრაზილიის ქალაქ სან-ჟოზე-დუ-რიუ-პრეტუს მკვიდრმა კისრის რამდენიმე მალა მუცლის სავარჯიშო სკამიდან გადმოვარდნის და თავით დაცემის შედეგად მოიტეხა. ეს 2016 წლის იანვარში მოხდა.

– ეს სრულიად ჩვეულებრივი ვარჯიში იყო. სავარჯიშო მოწყობილობაზე თოკი მიჭერდა, მაგრამ ის გაწყდა, მწვრთნელმა კი ჩემი დაჭერა ვეღარ მოასწრო, – განაცხადა გოგონამ.

მანკუსოს თქმით, როგორც კი ის იატაკზე დაეცა, საკუთარი სხეულის კონტროლი დაკარგა და მხოლოდ თვალებს ამოძრავებდა.

იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა ხერხემალზე ექვსი ხრახნი, ტიტანის ფირფიტა დაუყენეს და გააფრთხილეს, რომ ის შესაძლოა მთელი ცხოვრება პარალიზებული დარჩენილიყო. სამი დღის შემდეგ მანკუსომ ფეხის თითების ამოძრავება, ერთი კვირის შემდეგ კი სხვისი დახმარებით საწოლიდან წამოდგომა შეძლო. ერთი თვის შემდეგ ხელჯოხის დახმარებით ხელახლა ისწავლა სიარული, ხოლო სამი თვის შემდეგ უკვე მის გარეშე ახერხებდა მცირე მანძილის გავლას.

ახლახან კი გოგონამ სავარჯიშო დარბაზში სიარული განაახლა და იმ მოწყობილობაზეც კი ივარჯიშა, საიდანაც ჩამოვარდა. მანკუსოს ინსტაგრამში ფიტნესისადმი მიძღვნილი აკაუნტი აქვს და იმედოვნებს, რომ მისი დახმარებით და საკუთარი მაგალითით იმ ადამიანებს დაუბრუნებს რწმენას, რომლებიც მის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბუკინისტი შეისყიდის

XVIII-XIX საუკუნის ძველებურ წიგნებს 1500 ლარად



ხელნაწერებს, გრავიურებს, ჟურნალებს, პლაკატებს, ბარათებს, საბავშვო წიგნებს, 1945 წლამდე საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუებს 200 ლარად, ასევე ვერცხლის ჟურჟელს.

591-75 35 38

ლიპარტელიანი გრანდ სლემის მოგებით რეიტინგს სათავეში ჩაუდგა

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრი ვარლამ ლიპარტელიანი (100 კგ) დიუსელდორფის გრანდ სლემის გამარჯვებულია და პარალელურად, თავის წონაში მსოფლიოს რეიტინგის ლიდერია. ევროპის სამგზის ჩემპიონმა 28 წლის სპორტსმენმა დიუსელდორფის გრან სლემი წაუგებლად ჩაამთავრა და ოქროს მედალთან ერთად 1.000 სარეიტინგო ქულაც გამოიმუშავა. შედეგად, რეიტინგში უკან მოიტოვა ჰოლანდიელი მიხაელ კორელი.

100 კგ წონით კატეგორიაში გადასვლის შემდეგ ეს ლიპარტელიანის მოგებული პირველი გრან სლემია. დიუსელდორფში, სადაც ანალოგიური შეჯიბრი წინა წლებში გრან პრის სახელით ტარდებოდა, მეოთხედ იმარჯვა. მან აქ სამჯერ 90კგ წონით კატეგორიაში მოიგო.

დიუსელდორფის გრან სლემზე საქართველოს ნაკრები არასრული შემადგენლობით – 7 სპორტსმენით გამოვიდა და საპრიზო სამეულში შესვლა მხოლოდ ლუხუმ ჩხვიმიანმა შეძლო, რომელმაც 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და 500 სარეიტინგო ქულაც შეიმატა.

გერმანულ ტატამზე წარუმატებლად იჭიდავეს: თამაზ კირაკოზაშვილმა, კობა მჭედლიშვილმა (ორივე 81 კგ), ლაშა ტაველურმა (100 კგ), ადამ ოქრუაშვილმა და ლევან მატიაშვილმა (ორივე +100 კგ).

მოჭიდავეთა 12 მედალი უკრაინიდან

2 ოქრო, 5 ვერცხლი და 5 ბრინჯაო – ასეთია საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრების მონაგარი კიევის საერთაშორისო ტურნირზე

ბერძნულ-რომაული სტილით ნაკრებმა 5 მედალი (2 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო) მოიპოვა.

ტურნირის ჩემპიონები ლევან ქავჟარაძე (67 კგ) და შმაგი ბოლქვაძე (72 კგ) გახდნენ, ვერცხლის მედლები ნუგზარ წურწუმიამ (55 კგ) და ზურაბ დათუნაშვილმა (82 კგ) მოიპოვეს, მძიმეწონოსანი იაკობ ქაჯაია (130 კგ) ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა ნაკრებმა 152 ქულით მესამე ადგილი დაიკავა, მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩა მასპინძელ უკრაინას, პირველზე კი აზერბაიჯანი გავიდა 171 ქულით

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ანგარიშზე 7 მედალია.

ტურნირის ვიცე-ჩემპიონები თეიმურაზ ვანიშვილი (57 კგ), ბექა ლომთაძე (61 კგ) და გენო პეტრიაშვილი (125 კგ) გახდნენ, ბრინჯაოს მედლებს კი ლადო ხინჩეგაშვილი (65 კგ), ჯუმბერ ყველაშვილი (79 კგ), ირაკლი მწითური (92 კგ) და გიორგი მეშვილდიშვილი (125 კგ) დაეუფლნენ.

უკრაინის დედაქალაქში გამართულ რიგით 22-ე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე 29 ქვეყნის 400-მდე ფალავანმა მიიღო მონაწილეობა.

23-ე ზამთრის ოლიმპიადა წარსულს ჩაბარდა

პიონჩანის ზამთრის 23-ე ოლიმპიური თამაშები, შედეგებთან ერთად, ისტორიული გამოდგა კორეის ნახევარკუნძულისთვის. თამაშების გახსნის და დახურვის საზეიმო ცერემონიალის მონაწილეთა აღლუმზე ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა გაერთიანებული გუნდით გამოვიდა, ქალთა ჰოკეიში კი სულაც ერთი გუნდით იასპარეზეს.

პიონჩანგში 3-3 ოქროს მედალს დაეუფლნენ ფრანგი ბიატლონისტი მარტინ ფურკადი და ნორვეგიელი მოთხილამურე იოჰანეს კლებო. უნიკალურ შედეგს მიაღწია ასევე ნორვეგიელმა მოთხილამურე მარიტ ბიორგენმა, რომელმაც პიონჩანგში 2 ოქროს, ერთი ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და გახდა ზამთრის ოლიმპიადების ისტორიაში ქალ და ვაჟ სპორტსმენებს შორის ყველაზე უხვმედალოსანი ათლეტი, ქალ სპორტსმენებს შორის კი ყველაზე ტიტულიანი. 37 წლის ნორვეგიელის ოლიმპიური მონაგარი 8 ოქროს, 4 ვერცხლსა და 3 ბრინჯაოს მედალს ითვლის. 8 ოქროს და 4 ვერცხლის ჯილდო აქვთ ასევე მის თანამემამულეებს – მოთხილამურე ბიორონ დელის და ბიატლონისტ ოლე ეინარ ბიორნდალენს, თუმცა მათ ბიორგენზე ნაკლები ბრინჯაოს მედალი აქვთ.

ნორვეგიელებმა ერთ ოლიმპიადაზე მოპოვებული მედლების რაოდენობით რეკორდი დაამყარეს. სკანდინავიელებმა მედლების საერთო ჩათვლაში აშშ-ის ნაკრების მიერ ვანკუვერის თამაშებზე მოპოვებული 37-მედლიანი რეკორდი გააუმჯობესეს და 39 მედალი აიღეს.

ნორვეგიელებმა ჯამში 14 ოქროს, ამდენივე ვერცხლის და 11 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. ამასთან, უმაღლესი სინჯის მედლებით კანადელების მიერ ასევე ვანკუვერში დამყარებული რეკორდი გაიმეორეს.

მედლების საერთო ჩათვლაში მეორეზე გერმანია გავიდა, რომელსაც ასევე 14 ოქროს მედალი აღმოაჩნდა (14-10-7). მესამეზე ადგილზეა კანადა (11-8-10), მეოთხეზე – აშშ (9-8-6), მეხუთეზე – ჰოლანდია (8-6-6), შვედეთი – მეექვსეზე (7-6-1). ოლიმპიადის მასპინძლებმა – სამხრეთკორეელმა სპორტსმენებმა ოქროს 5, ვერცხლის 8 და ბრინჯაოს 4 მედლით გუნდური მეშვიდე ადგილი დაიკავეს.

თამაშებამდე და თამაშების მსვლელობისას ყურადღების ცენტრში იყვნენ რუსი სპორტსმენები. დოპინგთან დაკავშირებული პრობლემების გამო, რუსეთის წარმომადგენლებს ოლიმპიურ თამაშებზე თავისი ქვეყნის სახელით გამოსვლის უფლება არ მიეცათ. ისინი პიონჩანგში ოლიმპიური დროშით და „ოლიმპიელი ათლეტები რუსეთიდან“ სტატუსით წარდგნენ. ამ ქვეყნის წარმომადგენლები უშუალოდ პიონჩანშიც გაეხვნენ დოპინგ-სკანდალში, რაც კერლინგში შერეულ წყვილთა ასპარეზობაში მოპოვებული ბრინჯაოს მედლის ჩამორთმევად დასრულდა. ისიც ვთქვათ, რომ უკვე სახლში მყოფ მეოთხე ადგილზე გასულ ნორვეგიელთა წყვილს – კრისტინ სკასლიენისა და მაგნუს ნედრეგოტენს კი, მეორედ მოუწიათ პიონჩანში ჩასვლა, რათა კუთვნილი მედალი აეღოთ.

რუსეთის ნაკრებმა, რომელიც ყოველთვის მოწინავეთა შორის იყო, თავისი ანტირეკორდი დაამყარა – 2 ოქრო. მედლების საერთო ჩათვლაში კი 17 მედლით (2-6-9) მე-13 ადგილი დაიკავა.

პიონჩანის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში სულ 92 ქვეყნის 2925 სპორტსმენი მონაწილეობდა, მედლის მოპოვება 30 ქვეყნის წარმომადგენლებმა შეძლეს.

ოლიმპიურ სარბიელზე დამყარდა მსოფლიოს და ოლიმპიური რეკორდები. სარეკორდო გამოდგა იაპონელი ტრამპლინიდან მხტომელი ნორიაკი კასაის ასპარეზობაც. 2 ოლიმპიური ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედლის მფლობელი იაპონელი ზამთრის ოლიმპიადების ისტორიაში გახდა პირველი ათლეტი, რომელმაც მასში მერვედ მიიღო მონაწილეობა.

ზამთრის თამაშები ისტორიული გამოდგა იაპონელი მოციგურავე იუძურუ ჰანიუსთვის. ერთეულთა თანრიგში მოასპარეზე სპორტსმენმა პიონჩანში ჩემპიონობით 4 წლის წინანდელი შედეგი გაიმეორა. თანაც, მისი ეს ოქრო ზამთრის ოლიმპიადების ისტორიაში გათამაშებული მეათასე უმაღლესი სინჯის მედალი აღმოჩნდა. ამასთან, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის (სენტ მორიცი 1948, ოსლო 1952), ამერიკელი დიკ ბატონის შემდეგ, იუძურუ ჰანიუ გახდა მეორე ოლიმპიელი, რომელმაც ფიგურულ სრიალში ერთეულთა თანრიგში ოლიმპიური ჩემპიონობა ზედიზედ მოიპოვა.

აღსანიშნავია ციგურებით რბენაში ჰოლანდიელი სვენ კრამერის მიღწევაც. 5.000 მეტრზე მსოფლიო რეკორდით მოგებული ოქროს მედლით კრამერი ერთადერთია, რომელიც სპორტის ამ სახეობის ამავე დისციპლინაში ვანუთაგან სამგზის ჩემპიონი გახდა. გარდა ამისა, პირველია ვაჟ სპორტსმენთა შორის, რომელსაც ციგურებით რბენაში ჯამში 9 ოლიმპიური მედალი დაუგროვდა.

ჰოლანდიელმა ირენ ვურსტმა ასევე ციგურებით რბენაში პიონჩანში მოპოვებული ოქროსა და 2 ვერცხლის მედლით ოლიმპიური მონაგარი თერთმეტამდე გაზარდა და მედლების რაოდენობით ქალთა თუ ვაჟთა შორის სპორტის ამ სახეობის ერთპიროვნული რეკორდსმენი გახდა.

ისტორიაში მეორედ ოქროს მედლები გაიყვეს ბობსლეისტებმა. გერმანელებმა და კანადელებმა ორადგილიანი ბობით ასპარეზობა ერთნაირი შედეგით დაასრულეს. პირველად მსგავსი რამ 1998 წლის ნაგანოს თამაშებზე მოხდა.

რამდენიმე რეკორდი დამყარდა ფიგურულ სრიალშიც. ტესა ვირჩუსა და სკოტ მოირის კანადურმა წყვილმა სპორტულ ცეკვებში მოკლე და თავისუფალი პროგრამების ჯამში დაგროვილი 206,07 ქულით მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. რეკორდული აღმოჩნდა კანადელთა დუეტის მიერ ოლიმპიადებზე მოპოვებული მედლებიც. ვანკუვერის ოქროს, სოჭის 2 ვერცხლის, პიონჩანში გუნდურში და ახლა უკვე სპორტულ ცეკვებში მოპოვებული უმაღლესი სინჯის მედლებით კანადელები ოლიმპიადების ისტორიაში სპორტის ამ სახეობის ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენები გახდნენ.

საინტერესოა ისიც, რომ ვირჩუსა და მოირის სარეკორდო და სა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

შედეგები

25 თებერვალი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონშიპი

კრ.პალასი-ტოტენჰემი 0:1
მანჩესტერი-ჩელსი 2:1

სატურნირო ცხრილი:						
1.სიტი	27	23	3	1	79-20	72
2.მანჩესტერი	28	18	5	5	53-20	59
3.ლივერპული	28	16	9	3	65-32	57
4.ტოტენჰემი	28	16	7	5	53-24	55
5.ჩელსი	28	16	5	7	50-25	53
6.არსენალი	27	13	6	8	51-36	45
7.ბარნლი	28	9	10	9	22-25	37
8.ლესტერი	28	9	9	10	40-41	36
9.ევერტონი	28	9	7	12	32-47	34
10.უოტფორდი	28	9	6	13	38-47	33
11.ბორნმუთი	28	8	8	12	33-43	32
12.ბრაიტონი	28	7	10	11	26-37	31
13.ვესტ ჰემი	28	7	9	12	35-50	30
14.ჰადერსფილდი	28	8	6	14	25-48	30
15.ნიუკასლი	28	7	8	13	27-38	29
16.საუთჰემპტონი	28	5	12	11	29-41	27
17.კრ.პალასი	28	6	9	13	25-43	27
18.სუონსი	28	7	6	15	21-41	27
19.სტოკი	28	6	8	14	28-54	26
20.ვესტ ბრომვიჩი	28	3	11	14	22-42	20

ინგლისი. ჩემპიონლიგა

კარდიფი-ბრისტოლი 1:0

ესპანეთი. ჰიმეჰა დივიზიონი

ვილიარეალი-ხეტაფე 1:0
ბილბაო-მალაგა 2:1
ვალენსია-სოსიედადი 2:1
სევილია-ატლეტიკო 2:5

სატურნირო ცხრილი:						
1.ბარსელონა	25	20	5	0	68-12	65
2.ატლეტიკო	25	17	7	1	41-11	58
3.რეალი	25	15	6	4	62-27	51
4.ვალენსია	25	15	4	6	49-29	49
5.ვილიარეალი	25	12	5	8	36-29	41
6.სევილია	25	12	3	10	33-40	39
7.სელტა	25	10	5	10	43-37	35
8.ეიბარი	25	10	5	10	32-38	35
9.ხერონა	25	9	7	9	35-36	34
10.ხეტაფე	25	8	9	8	29-22	33
11.ბეტისი	24	10	3	11	41-50	33
12.ბილბაო	25	7	10	8	26-28	31
13.ლეგანესი	25	8	6	11	21-28	30
14.სოსიედადი	25	8	5	12	47-47	29
15.ესპანიოლი	25	6	10	9	22-32	28
16.ალავესი	25	9	1	15	22-37	28
17.ლევანტე	24	3	11	10	21-38	20
18.ლას პალმასი	25	5	4	16	18-52	19
19.დეპორტივო	25	4	6	15	24-53	18
20.მალაგა	25	3	4	18	16-40	13

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კორდობა-ვალიადოლიდი 2:1
სარაგოსა-ოვიედო 2:1
ალბასეტე-ნუმანსია 1:0
გრანადა-ალკორკონი 2:0
დეპორტივო-სევილია ბ 2:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-შალკე 0:2
ლაიპციგი-კიოლნი 1:2

სატურნირო ცხრილი:						
1.ბაიერნი	24	19	3	2	55-18	60
2.დორტმუნდი	23	11	7	5	48-29	40
3.შალკე	24	11	7	6	38-30	40
4.აინტრახტი	24	11	6	7	32-27	39
5.ლევერკუზენი	24	10	8	6	43-32	38
6.ლაიპციგი	24	11	5	8	37-33	38
7.გლადბახი	24	10	4	10	31-35	34
8.ჰოფენჰაიმი	24	8	8	8	38-38	32
9.ჰანოვერი	24	8	8	8	32-34	32
10.აუგსბურგი	23	8	7	8	32-29	31
11.ჰერტა	24	7	10	7	30-30	31
12.შტუტგარტი	24	9	3	12	20-27	30
13.ფრაიბურგი	24	6	11	7	25-38	29
14.ვერდერი	24	6	8	10	22-28	26
15.ვოლფსბურგი	24	4	13	7	27-31	25
16.მაინცი	24	6	6	12	29-42	24
17.ჰამბურგი	24	4	5	15	18-35	17
18.კიოლნი	24	4	5	15	22-43	17

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოხუმი-ნიურნბერგი 0:0
დარმშტადი-ჰაიდენჰაიმი 1:1
ზ.პაული-კილი 3:2

იტალია. სერია ა

კროტონე-სპალი 2:3
ფიორენტინა-კიევო 1:0
სასუოლო-ლაციო 0:3
ვერონა-ტორინო 2:1
სამპდორია-უდინეზე 2:1
რომა-მილანი 0:2

სატურნირო ცხრილი:						
1.ნაპოლი	25	21	3	1	55-15	66
2.იუვენტუსი	25	21	2	2	62-15	65
3.ლაციო	26	16	4	6	64-33	52
4.ინტერი	26	14	9	3	42-21	51
5.რომა	26	15	5	6	40-21	50
6.სამპდორია	26	13	5	8	46-34	44
7.მილანი	26	13	5	8	37-30	44
8.ატალანტა	25	10	8	7	37-29	38
9.ტორინო	26	8	12	6	36-32	36
10.ფიორენტინა	26	9	8	9	35-32	35
11.უდინეზე	26	10	3	13	37-38	33
12.ბოლონია	26	10	3	13	33-38	33
13.ჯენოა	26	8	6	12	21-27	30
14.კალიარი	25	7	4	14	23-36	25
15.კიევო	26	6	7	13	23-43	25
16.სასუოლო	26	6	5	15	15-46	23
17.კროტონე	26	5	6	15	23-47	21
18.სპალი	26	4	8	14	26-49	20
19.ვერონა	26	5	4	17	24-51	19
20.ბენევენტო	26	3	1	22	18-60	10

საფრანგეთი. 1 ლიგა

ბორდო-ნიცა 0:0
ლიონი-სტ.ეტიენი 1:1
პსჟ-მარსელი 3:0

სატურნირო ცხრილი:						
1.პსჟ	27	23	2	2	84-19	71
2.მონაკო	27	17	6	4	67-29	57
3.მარსელი	27	16	7	4	56-32	55
4.ლიონი	27	14	8	5	57-33	50
5.მონპელიე	27	9	12	6	24-21	39
6.ნანტი	27	11	6	10	27-28	39
7.რენი	27	11	5	11	34-35	38
8.ბორდო	27	10	6	11	32-35	36
9.ნიცა	27	10	6	11	32-38	36
10.გენგამი	27	9	8	10	28-35	35
11.დიჟონი	27	10	5	12	38-52	35
12.სტ.ეტიენი	27	9	7	11	28-41	34
13.კაენი	27	9	5	13	20-32	32
14.სტრასბური	27	8	7	12	32-47	31
15.ამიენი	27	8	5	14	23-30	29
16.ტულუზა	27	7	7	13	25-36	28
17.ანჟე	27	6	10	11	29-40	28
18.ტრუა	27	8	4	15	24-36	28
19.ლილი	27	7	6	14	26-43	27
20.მეცი	27	5	4	18	25-49	19

ჰოლანდია. ეხედივიზიონი

აიაქსი-დენ ჰააგი 0:0
ტილბურგი-როდა 1:0
ფეინოორდი-პსვ 1:3
უტრეხტი-ტვენტე 3:1

ჰოკეგაღია. ჰიმეის ღიგა

შავიში-ეშტორილი 2:0
ბოავიშტა-სეტუბალი 4:0
პორტიმორენშე-პორტუ 1:5

შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-ციურიხი 1:0
ლუცერნი-თუნი 2:1
სტ.გალენი-ლუგანო 3:0

მოტღანდია. ჰიმეიერიგა

აბერდინი-სელტიკი 0:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

შტურმი-ზალცბურგი 2:4

ბელგია. ა დივიზიონი

ანდერლეხტი-მუსკრონი 5:3
სტანდარდი-ბრიუგე 1:1
კორტრაიკი-ვარეგემი 0:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

ქსანთი-აპოლონი 2:0
ლარისა-პლატანიასი 1:0
პანეთოლიკოსი-კერკირა 1:0

თურქეთი. სუპერლიგა

მალათია-ქარაბუქი 3:1
ოსმანლი-ანთალია 0:0
გიოზთეფე-სივასი 1:0
ბეშეიქთაში-ფენერბახჩე 3:1

ჩეხეთი. 1 ღიგა

კარვინა-ზლინი 4:0
სლავია-ბოჰემიანსი 1905 ..... 1:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

პიატი-ვისლა 0:0
შლასკი-გურნიკი 1:1
კორონა-ლეხი 1:0

უკრაინა. ჰიმეიერიგა

ხორია-ვორსკლა 3:0
ოლიმპიკი-სტალი 2:0
ვერესი-დინამო 3:1
შახტარი-ზვეზდა 5:0

დანია. სუპერლიგა

ჰობრო-მიდტიულანდი 1:2
ოლბორგი-ნორდსიელანდი 1:1
ბრონდბიუ-ჰელსინგერი 6:1
კოპენჰაგენი-ოდენსე 1:0

მოამზადა მისიელ ყორყოლიანმა

ნეიმარმა მარსელთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო

პსჟ-ს ლიდერმა ნეიმარმა მარსელთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მას მოედნის დროზე ადრე დატოვება მოუწია.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენს ხანს გამოტოვებს ბრაზილიელი ფორვარდი, მაგრამ უნაი ემერიმ განაცხადა რომ ნეიმარი სავარაუდოდ შეძლებს რეალის წინააღმდეგ თამაშს. რეალთან მატჩი 6 მარტს გაიმართება და ამ შეხვედრაში ნეიმარის მოედანზე ყოფნა პსჟ-სთვის აუცილებელია.

შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი ფრანგებმა 1:3 წააგეს და ისინი ძალიან რთული ამოცანის წინაშე დგანან.

მარსელთან შეხვედრა პარიზელებმა 3:0 მოიგეს.

ტიერი ანრი არსენალის მწვრთნელობას არ გამორიცხავს



არსენალის ლეგენდა ტიერი ანრიმ განაცხადა რომ მომავალში ის არსენალში დაბრუნებას არ გამორიცხავს და შესაძლოა მისი მწვრთნელიც გახდეს.

ანრის თქმით, არსენალში მუშაობა მისთვის ძალიან საინტერესო იქნება.

– ამჟამად ბელგიის ნაკრებში ვმუშაობ და რამდენიმე წელიწადი არაფრის შეცვლას არ ვაპირებ, მაგრამ თუ არსენალი ჩემთან მუშაობით დაინტერესდება, მის წინადადებას აუცილებლად განვიხილავ. არსენალი ძალიან მიყვარს და ეს ყოველთვის ასე იქნება, – განაცხადა ტიერი ანრიმ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ინდოელს რეკორდული მოსავლის მიღებაში პორნომსახიობი დაეხმარა

ინდოელმა ფერმერმა ისაუბრა იმის თაობაზე, თუ როგორ იცავს პორნოვარსკვლავის პლაკატის დახმარებით საკუთარ მოსავალს.

ინდოეთის ანდხრა-პრადეშის შტატის მცხოვრებ ჩენჩუ რედის 10 აკრი მიწის ფართობზე ჩვეულებრივი და ფერადი კომბოსტო მოჰყავს. მამაკაცის თქმით, ბოსტნეული მუდმივად იპყრობს სოფლის მცხოვრებთა და გამვლელთა ყურადღებას. ამიტომ მან ყოფილი პორნომსახიობის სანი ლეონეს პლაკატი დააყენა, რომელზეც მსახიობი წითელ საცურაო კოსტიუმშია გამოწყობილი და მასზე წარწერაა გაკეთებული: „ეი, შენ, ნუ ტირი და ჩემი ნუ გშურს“. ფერმერის თქმით, ახლა ყველას მზერა სწორედ მისკენაა მიმართული და კომბოსტო მშვიდად იზრდება.

ადრე ინდოელი ფერმერი იმავე მიზნით შეუხედავ ფიტულებს იყენებდა, მაგრამ ეს არ მოქმედებდა. მისი თქმით, მას სჯერა, რომ პლაკატი მაგიურ ძალას ფლობს, ვინაიდან მრავალი წლის განმავლობაში მან პირველად მოახერხა ბევრი ბოსტნეულის მოსავლის მიღება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველო გერმანიასთან დამარცხდა

საქართველო-გერმანია 77:87
(17:27, 21:24, 24:18, 15:18)

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის მორიგ მატჩში თბილისში გერმანიას უმასპინძლა და 10 ქულის სხვაობით – 77:87 დამარცხდა. ილიას ზუროსის გაწვრთნილმა გუნდმა გასული წლის 23 ნოემბერს ქალაქ ქემნიცში ტურნირის პირველი წრის მატჩი 70:79 წააგო გერმანიასთან, საპასუხო შეხვედრაში კი, მიუხედავად სავსე დარბაზისა, რევანშის აღება ვერ მოახერხა.

ილიას ზუროსის გუნდს ცდა არ დაუკლია და ბოლომდე დაიხარჯა, მაგრამ, რაც უნდა მწარე სიმართლე იყოს, გერმანიის ნაკრები სადღეისოდ გაცილებით მაღალი დონისაა.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ნამატჩევს კმაყოფილი იყო მოთამაშეთა შემართებით. ილიას ზუროსმა აღნიშნა, რომ კალათბურთელებმა დადეს გული და მოგების მისაღწევად თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გაიღეს, თუმცა მეტოქე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. მართლაც, გერმანიის ნაკრები ბევრად შეთამაშებულია, ვიდრე საქართველოს ნაკრები და ამის მიზეზი მათი კალათბურთელების ხანგრძლივად ერთად თამაშია. გერმანიასაც აკლდა ძლიერი კალათბურთელები, თუმცა ვინც იყო, ისინიც წამყვან ევროპულ ლიგებში თამაშობენ.

გერმანელები თავიდანვე დაწინაურდნენ და მატჩის ბოლომდე ხელჩასაჭიდ ლიდერობას ინარჩუნებდნენ. ჩვენი ნაკრები ცდილობდა გაბათილებას და რამდენჯერმე 4-5 ქულითაც მიუახლოვდა მძლავრ მეტოქეს, თუმცა გერმანელები როგორც ფარქვეშ, ისე პერიმეტრზე უბადლოდ თამაშობდნენ და შეხვედრა საბოლოოდ ისე ჩამთავრდა, ვითარება არ დაძაბულა.

საქართველოს ნაკრებმა მიმდინარე ციკლში მესამე მარცხი განიცადა, თუმცა მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე რაუნდში გასვლა თითქმის გარანტირებული აქვს. საკვალიფიკაციო ჯგუფში, სადაც საქართველოსთან ერთად სერბეთი, გერმანია და ავსტრიაა, მომდევნო ეტაპზე 3 საუკეთესო გადის. ზუროსის გუნდმა 2 დღის წინ ავსტრია სტუმრად 14 ქულით დაამარცხა, რითაც ამ გუნდის ჯგუფში ჩატოვების საკითხი თითქმის გადაჭრა.

საქართველოს ნაკრები პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო 2 შეხვედრას თბილისში – 29 ივნისს ავსტრიასთან, ხოლო 2 ივლისს სერბეთთან გამართავს.

ნინო ბაციაშვილი საქართველოს ჩემპიონია

საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ჩემპიონატის გამარჯვებული მეორედ გახდა საერთაშორისო დიდოსტატი ნინო ბაციაშვილი.

ბათუმელმა მოჭადრაკემ პირველობა საქართველოს 2017 წლის ჩემპიონ ბელა ხოტენაშვილთან ერთად გაიანაწილა და უკეთესი დამატებითი მაჩვენებლების გამო ჩემპიონობაც დაისაკუთრა. არადა, ხოტენაშვილმა ბოლო ტურში თეთრებით ვერ მოუგო გაცილებით დაბალრეიტინგიან მაკა ფურცელაძეს.

ამასთანავე, ბაციაშვილმა 8 ქულა შემატა თავის რეიტინგს და მსოფლიოში მეცხრე ადგილზე გადაინაცვლა.

მესამე ადგილზე ლელა ჯავახიშვილი გავიდა 6 ქულით. მან ბოლო ტურში დაძაბულ ბრძოლაში სალომე მელია დაამარცხა.

5.5-5.5 ქულით მე-4-5 ადგილები მერი არაბიძემ და სალომე მელიამ გაიანაწილეს. აღსანიშნავია, რომ მელია მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ლიდერობდა და რომ არა ბოლო 3 ტურში განცდილი 3 მარცხი, ჩემპიონობის რეალური კანდიდატი იყო.

23-ე ზამთრის ოლიმპიადა წარსულს ჩაბარდა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ჩემპიონო ასპარეზობას წინ უძღოდა ოლიმპიადის დებიუტანტი ფრანგების – გაბრიელა პაპადაკისა და გიომ სიზერნის მიერ თავისუფალში (123,35) და შემდგომ უკვე ორივე პროგრამის ჯამში (205,28) თავიანთივე მსოფლიო რეკორდების გაუმჯობესება.

რეკორდები ქალთა მოკლე პროგრამასაც ახლდა. ამასთან რამდენიმეწუთიან ინტერვალში ორჯერ. ამგვარი მიღწევებით თავი გამოიჩინეს რუსებმა. თავდაპირველად რეკორდული ქულები (81,61) ევგენია მედვედევამ დაიმსახურა, შემდეგ კი ალინა ზაგიტოვამ გააუმჯობესა (82,92) თანაგუნდელის შედეგი, მოგვიანებით კი ვერცხლისა და ოქროს მედლებიც მოიპოვეს. საინტერესოა, რომ ორივე მედალოსანი ეთერ თუთბერიძის მოწაფეა.

პიონჩანის ოლიმპიადის უმთავრეს გმირად უნდა შეირაცხოს 22 წლის ჩეხი ესტერ ლედეცკაა, რომელიც ერთდროულად სამთოთხილამურეთა სუპერგიგანტურ სლალომში და სნოუბორდისტთა პარალელურ გიგანტურ სლალომში გამოვიდა და ორივეგან ჩემპიონი გახდა.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

27 თებერვალი

ვერძი – კრიტიკული დღეა. ბიზნესკონტაქტები არ გაამართლებს. ერიდეთ საქმის გარჩევებს. **კურო** – მაქსიმალურად იაქტიურეთ. არცერთი საქმე შუა გზაზე არ მიატოვოთ, განსაკუთრებით – დღის პირველ ნახევარში. **ტყუპები** – მოტყუების ალბათობა საკმაოდ მაღალია, ამიტომ დაივიწყეთ მიამიტობა და იოლად არავის მიენდოთ. **კირჩხიბი** – იზრუნეთ ოჯახის წევრებზე, მაგრამ საკუთარ თავსაც ნუ უგულებელყოფთ. საღამოს უთუოდ დაისვენეთ და ენერგია აღიდგინეთ. **ლომი** – სულიერ დისკომფორტს განიცდით. მძიმე წუთებში დახმარების ხელს მეგობრები გამოგიწვდიან. **ქალწული** – რთული დღეა. საკუთარი აზრის გამოხატვისაგან თავი შეიკავეთ და ემოციებს ნუ აჰყვებით. **სასწორი** – იფრთხილეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას. ნუ იქნებით ზედმეტად გულახდილი. **ღრიანკალი** – კარიერული წინსვლის თვალსაზრისით ძალზე შესაფერისი დღეა. შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობის გრძნობა ამაში ძალზე დაგეხმარებათ. **მშვილდოსანი** – შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. ეცადეთ, აიმაღლოთ კვალიფიკაცია, სრულყოთ პროფესიონალიზმი, რაც აუცილებლად სათანადოდ დაგიფასდებათ. **თხის რქა** – ებრძოლეთ ცდუნებასა და ამბიციებს. ოჯახში უთანხმოება იჩენს თავს. **მერწყული** – შორსმიმავალ გეგმებს ნუ დასახავთ. დღევანდელი კვერცხი გერჩიოთ ხვალინდელ ქათამს. **თევზები** – უამრავი საქმე გაქვთ. პრიორიტეტების მიხედვით იმოქმედეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. კულტურის დაქვეითება, დაცემა; 2. ქართველი სუმოისტი იაპონიის იმპერატორის თასის მფლობელი; 3. ყველაზე დიდი ქალაქი ბასკეთში; 4. ბუღალტერიაში სხვაობა შემოსავალსა და გასავლის ჯამებს შორის; 5. ინდოელი მოჭადრაკე მამაკაცი დიდოსტატი; 11. ტბა შვეიცარია-იტალიის საზღვარზე; 12. ნოტიო, თიხნარი ნიადაგი; 14. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 16. მესაქონლეობის ფერმის მფლობელი სამხრეთ ამერიკაში; 17. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 19. ავადმყოფური სიმპტომების დროებით შესუსტება; 21. ცხენის ერთგვარი სვლა; 22. ორელექტროდიანი ელექტრო-ვაკუუმური ნათურა.

თარაზულად: 6. ჩინური ფაიფური; 7. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 8. პორტატული საფრენი აპარატი; 9. მშვიდი, უშფოთველი ცხოვრება; 10. საშობაო სიმღერა; 13. სირიის პრეზიდენტი; 15. ისტორიული მოედანი ლონდონში; 18. სახალხო მთქმელი, პოეტი-მომღერალი უკრაინაში; 20. ბრიტანული არაყი; 21. ნიადაგის ღრმად გამაფხვიერებელი კულტივატორი; 23. ურთიერთდათმობით მიღებული შეთანხმება; 24. სამონასტრო კომპლექსში კახეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. პასტორი; 3. დელიბი; 8. ქაბაბი; 9. რური; 14. „ოტელო“; 15. კამერა; 17. ნიაზ; 20. რეალია; 22. ტვინი; 23. ფიორდი; 25. კიი; 26. არვე; 27. ეჭვი; 28. იტალომანი; 29. ამია; 30. პინა; 31. პირამიდა.

შვეულად: 1. პური; 2. ინა; 3. დედააზრი; 4. ბი; 5. ფავორიტი; 6. დასი; 7. პირუეტი; 10. რეტი; 11. კარნავალი; 12. კონკორდი; 13. ფარა; 16. მაყალი; 18. ჭინჭარი; 19. ეფენდი; 21. ირემი; 24. დვირი.

სკანვორდის პასუხები:

1. კვირა; 2. ტარ; 3. კავალკადა; 4. აგვისტო; 5. შტატი; 6. რელიქტი; 7. ქუსლი; 8. პლანეტა; 9. იო; 10. ბანი; 11. რძე; 12. ადიაბატა; 13. იმპერიალი; 14. აგნი; 15. კურო; 16. სერ; 17. დია; 18. ოე; 19. კურარე; 20. კავენდიში; 21. ირაო; 22. აკვედუკი; 23. იმერეთი; 24. ქარგალი; 25. ქურუმი; 26. არკებუზი; 27. რემისია; 28. რომ; 29. ოდინი; 30. სიმინდი; 31. სამოთხე.

სურათებზე: მალუ მადერი; ერიკ აბიდალი.

ია სუხიტაშვილი: „ზოგჯერ მგონია, რომ ამირა თბილისში ისევ დაბრუნდა“

რუსთაველის თეატრის მსახიობი ია სუხიტაშვილი თბილისში მუსლიმანების სიმრავლეს აპროტესტებს:

– ეს უკვე მეტისმეტია. გადაგვთელა ამ ხალხმა თავიანთი ბორდელებით და სუნიანი რესტორნებით.

თბილისის მერია, იმედია, თქვენ რამეს უშველით ამ ყველაფერს.

ზოგჯერ მგონია, რომ ამირა თბილისში ისევ დაბრუნდა და ხვალ ან ზეგ ხარკი უნდა ჩავუტანო ალმაშენებელზე, უფრო სწორად, ალაჰილალაჰის ქუჩაზე.

ალექსანდრე ბეგალიშვილი: „დაიწყო ისევ სარეცხის მოპარვები თოკებიდან“

კინომსახიობთა თეატრის მსახიობი ალექსანდრე ბეგალიშვილი, რომელიც ფართო საზოგადოებამ „ჩემი ცოლის დაქალებში“ შესრულებული დუდუს როლით გაიცნო და შეიყვარა, თოკებიდან სარეცხის მოპარვით შეწუხებულია.

ალექსანდრე ბეგალიშვილი:

– დაიწყო ისევ სარეცხის მოპარვები თოკებიდან და ათასი ყ..ობა, რაც მეგონა რომ დამთავრდა ამ დედააფეთქებულ ქვეყანაში. მო....ანთ სახელმწიფო და ვისაც ეს აგრესიული პროვინციალიზმი გევასებათ, ყველას გაგარტყით.

თამარ ივერი სითი პარკის საწინააღმდეგო აქციას აანონსებს

ოპერის მომღერალი თამარ ივერი სითი პარკის წინააღმდეგ დაგეგმილ საპროტესტო აქციას აანონსებს.

თამარ ივერი:

– სავარაუდოდ, 9 მარტს მოეწყობა ჩვენი აქცია. აქცია სითი პარკის ძალადობის, ჩასაფრებითი და შერჩევითი მანქანების გათრევის, უბრალო, გადაუხდელი ჯარიმის გამო მოქალაქეთა ანგარიშების დაყადაღების წინააღმდეგ. ამის უფლება მსოფლიოში არამცთუ ვიღაც კერძო ფირმას... არამედ თავად სახელმწიფოსაც კი არ აქვს. მხოლოდ სპეციალურ, კრიმინალურ საფინანსო სამინისტროს და ისიც უშუალოდ სახელმწიფო დონეზე. როცა ბენეფიციარი შემჩნეულია ანტიკანონიერ და ანტისახელმწიფო ფინანსურ ქმედებებში. სრული თავზეხელაღებულობის და დაუცველობის სინდრომი! ასე რომ, 9 მარტს საზოგადოება მათ მიმართ ხმამაღალ განცხადებებს გააკეთებს! ეს ჯერ დასაწყისია!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ირაკლი ჩარკვიანის გარდაცვალებიდან 12 წელი გავიდა

მომღერლისა და მუსიკოსის ირაკლი ჩარკვიანის გარდაცვალებიდან 12 წელი გავიდა. ის 44 წლის ასაკში გარდაიცვალა. ხელოვანის სიცოცხლის ბოლო დღეებზე ჟურნალისტებთან არაერთხელ უსაუბრიათ მის მეუღლეს ქეთათოს და მამას გელა ჩარკვიანს.



გელა ჩარკვიანი:

– ირაკლი კარგად არ იყო და ქეთათომ მითხრა, მე მივდივარ და იქნებ შემოიაროო. ოთახში რომ შევედი, გადახდილი იწვა და დავახურე. მერე სხვა ოთახში გავედი და 40 წუთი მაინც წიგნს ვკითხულობდი. კვლავ რომ შევედი, მივხვდი, რაღაც ხდებოდა. ხელი რომ დავადე, ცივი იყო. ალბათ ამ ტრავმიდან ვერას-დროს გამოვალ...

44 წელი მამაკაცებისთვის კრიზისული ასაკია და მას საშუალო ასაკის კრიზისი ეწოდება. ბოლო დღეებში ირაკლი მოწყენილი იყო. სიცოცხლე აკლდა, თუმცა ბევრი სამომავლო გეგმა ჰქონდა და წიგნის ტრილოგიად ქცევა სურდა. საოცარია, მაგრამ მოახლოებულ განსაცდელს ვგრძნობდი. ჩემს ახლო მეგობრებს ირაკლის გარდაცვალებამდე 3-4 დღით ადრე ვეუბნებოდი, ის კარგი ცხოვრება, რომელიც მე მქონდა, მგონი, მალე გათავდება და ჯვარცმის დრო დადგება-მეთქი... ირაკლიმ სიკვდილი გაგვიადვილა. სიკვდილი ჩვენთვის პრობლემა აღარ არის.

მჯერა, რომ ირაკლი კიდევ დიდხანს ეხსომებათ, რადგან მან ისეთი სიმღერები დაწერა, რომლებმაც დროს გაუსწრო.

ქეთათო ჩარკვიანი:

– სიცოცხლის ბოლო დღეებში სულ მეკითხებოდა, ხომ გიყვარვარო. ირაკლის სიკვდილი ვერ წარმომედგინა. მამამისმა დამირეკა და მითხრა, რაც მოხდა. ისეთი შოკი მივიღე, თავიდან ვერც კი ვიჯერებდი, რომ ეს სიმართლე იყო. სახლში რომ მივედი, მაინც მეგონა, ცოცხალი იყო. ახლა რომ ვუსმენ, ყველა ჩვენი სიმღერა, რომელსაც ერთად ვასრულებდით, ამ დღის წინასწარმეტყველებაა... ერთხელ პირდაპირ მითხრა, შენ ქვრივობა მოგიხდებაო. მაშინ ამაზე ძალიან გავბრაზდი.

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე გიო მგელაძეს შეხვდა. მას უკითხავს, როდის მოვიდე შენი წიგნის პრეზენტაციაზეო. ირაკლის უპასუხია 26, 27, 28 თებერვალსო. ეს რიცხვები მისი პანაშვიდის და დაკრძალვის დღეები აღმოჩნდა.

ყველაფერი, რასაც ამბობდა და აკეთებდა, ამის წინასწარმეტყველება იყო. თუნდაც ერთი კლიპის სიუჟეტი, სადაც მიწას მათხრევინებს, ვეძახი, მაგრამ თვითონ არ ჩანს და დაბინდული სახით მევლინება. არ მომწონდა ასეთი სიუჟეტი, მაგრამ თვითონ გადაიღო ასე.

წინასწარმეტყველური აღმოჩნდა მისი წიგნიც. სანამ წიგნი გამოიცემოდა, წამაკითხა. ბევრი რამ მენიშნა, მაგრამ ყველაფერს ვერ მივხვდი. დასაფლავებამდე, კიდევ გადავალე თვალი და გავოგნდი. წერს, ბედნიერად ვიცხოვრებ 25-ე საუკუნეში სიბერემდე, რომელიც მხოლოდ 44 წლამდე გრძელდებაო. მართლაც მისი სიბერე 44 წლამდე გაგრძელდა...

იმ დღეს, სანამ დაიძინებდა, მითხრა, მაგარი კომპოზიცია გავაკეთოთ და შენ ხომ ჩემთან ერთად იმღერებო? ხომ სულ ჩემთან იქნები, ხომ არ მიმატოვებო? ეს იყო ირაკლი ჩარკვიანის ბოლო სიტყვები, რომლებიც გარდაცვალებამდე თქვა.

სუხიშვილების გასტროლი პოლონეთში სრული ანშლაგით მიმდინარეობს

ანსამბლ „სუხიშვილებს“ მსოფლიოს გარშემო გასტროლები აქვს. მოცეკვავეები ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობენ და ქართული ცეკვით აღტაცებულს ტოვებენ მთელ მსოფლიოს.

პოლონეთში გამართულ გასტროლს ანსამბლის ხელმძღვანელი ნინო სუხიშვილი აფასებს და მაყურებლის გულწრფელი ოვაციით, ხანგრძლივი აპლოდისმენტებით და არაჩვეულებრივი დახვედრით ამაყი, ბედნიერი და გაოცებულია.

ნინო სუხიშვილი:

– ბედნიერი, ამაყი და გაოცებული ვარ ყოველდღე ყოველი კონცერტის და წარმატების შემდეგ.

თითქოს უნდა მივეჩვიოთ უკვე ამ ემოციებს, სიხარულს, რომელიც წარმოდგენის ფინალში ხდება, და მაინც ერთნაირად გვიცემს სიამაყით გული და ამ შეგრძნების გამოხატვა სიტყვებით ძალიან ძნელია.

ცხენმა პატრონი ცოფიანი ძაღლისგან იხსნა



ავსტრალიის ქალაქ ლინტონში, რომელიც ვიქტორიას შტატში მდებარეობს, ცხენმა თავისი პატრონი ცოფიანი ძაღლისგან დაიცვა.

დიდი მაწანწალა ძაღლი თავს დაესხა ქალბატონს, როდესაც ის ქუჩაში ცხენით მიდიოდა. მან მხედარს ფეხში სტაცა პირი და ძირს ჩამოაგდო. ამ დროს ცხენმა პატრონის დასახმარებლად გაიწია და არა მხოლოდ დაიცვა ის, არამედ ძაღლის გაგდებაც მოახერხა.

ცხენი პატრონს საკუთარი სხეულით გადაეფარა და სერიოზულად დაშავდა: მას კისრის არეში კბილებისგან ღრმა ჭრილობები აქვს მიყენებული. ცხოველს ვეტერინარის დახმარება დასჭირდა, რომელმაც ცხენს ნაკერები დაადო. მისი პატრონი ფეხის ტრავმით საავადმყოფოში აღმოჩნდა. ძაღლის დაჭერა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

სამგლოვიარო განცხადებები

გივი ჭყოიძის ოჯახი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მათი უახლოესი მეზობელი და მეგობარი, ყველასათვის საყვარელი პიროვნება, სამხედრო უწყების ყოფილი მაღალჩინოსანი

ხვიჩა ძიძიგური

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და ნათესავებს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ქალთა დღესასწაული

დისნეის პრინცესებს უცნაური ხელები აღმოაჩნდათ

ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ დისნეის სტუდიის მიერ გადაღებული მულტფილმების ყველა მთავარ გმირს ხელის თითებზე ფრჩხილები არ აქვთ.

ჟურნალისტებმა ყურადღება მიაქციეს კონკიას, მძინარე მზეთუნახავს, არიელს, მულანს და ტიანას. ფრჩხილები ფიფქიასაც კი არ აღმოაჩნდა, სტუდიის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული მულტფილმის გმირს.

სამაგიეროდ მდედრობითი სქესის ჯადოქრებს ფრჩხილები აქვთ. ამასთან ფრჩხილები ეპიზოდურად ემჩნევათ ჟასმინს („ალადინი“) და გასტონს („ურჩხული და მზეთუნახავი“).

როგორც ბრიტანული გამოცემა აღნიშნავს, შესაძლოა, ამის მიზეზს წარმოადგენს არა მულტფილმების გმირების ხასიათები, არამედ მათი წარმოების ტექნოლოგია: ასეთი დეტალების დახატვა ხარჯებს ზრდის.

პრინცესების ანატომიური ანომალიების გარდა, ჟურნალისტებმა ასევე შენიშნეს კიდევ რამდენიმე საინტერესო თავისებურება: მთავარი გმირების დიდ უმრავლესობას დედა არ ჰყავს, ხოლო მათ სამოსში ლურჯი ფერი სჭარბობს, რათა პერსონაჟები „საიმედო და ძლიერები“ გამოჩნდნენ.

ყველაზე მსუქანმა მამაკაცმა წონაში დაიკლო

მექსიკელი ხუან პედრო ფრანკოს წონა 453 კილოგრამამდე შემცირდა. 33 წლის მამაკაცმა საჭმლის მომნელებელი სისტემის რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა და ვარჯიშების მკაცრ რეჟიმს იცავს. 2017 წელს ფრანკო გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც მსოფლიოში ყველაზე მძიმე ადამიანი. მაშინ მისი წონა 590 კილოგრამს შეადგენდა. ერთი წლის წინ მექსიკელმა გადაწყვიტა ზედმეტ წონას შებრძოლებოდა. საბოლოო ჯამში, ფრანკოს გახდომის და დივანიდან დამოუკიდებლად წამოდგომის იმედი აქვს.

ოპერაციის წინ ფრანკო სამთვიან დიეტაზე დაჯდა და გარკვეული წონა დაიკლო. 2017 წლის ნოემბერში ექიმებმა მისი კუჭის მოცულობა ორჯერ შეამცირეს. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მექსიკა ჭარბწონიანი მოზარდების რაოდენობით მსოფლიო ლიდერია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პროგრამა

სამშაბათი 27 თებერვალი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია."კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენბო ვებრინე**" **10.00, 02.05** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ბიდის საიდუმლო**" **12.15** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.00** მინი/სერ. "**დრეგე და ვაჟი**" **14.00** დოკ/ფ "აბრეშუმის გზა" **15.30, 05.20** ტ/სერ. "**ეძვსი და**" **16.30, 06.20** ტ/სერ. "**ღვინის გზა**" **18.30** დოკ/სერ. "ორი კაბა და ერთი არჩევანი" **20.00** ტელე-თამაში. "მარტივი ლოგიკა" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **22.30** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **23.30** მხ/ფ "**2012**" (ჯ. იუსაკი) **03.05** მხ/ფ "**ვეიდი წელი ტიგეგში**"

06.30, 19.03 სერ. "**დასაწყისი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.10** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ტუილი**" **16.00** სერ. "**ფული და სიყვარული**" **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **18.25** გათამაშება - კრისრალბეთი **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ფაპორტში**" **22.00** პოლიტიკური თოქ შოუ - პირისპირ **23.30** სერ. "**ლირსების სან 2**" **5** სერ. **00.30** მხ/ფ "**ლდობა**" **02.00** მხ/ფ "**ბრაკლინელი პოლიციელები**" **04.40** მხ/ფ "**ციგეარლინი**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.40** სერ. "**დიდი ოჯახი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**ზღვინი დღეები**" **22.00** არჩევანი **00.00, 01.00, 02.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

07.50 ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **14.00, 16.00** ვახო სანაიას დღის ამბები **15.00** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00, 4.00** მხ/ფ **20.00** რეაქცია **22.45** საქმის კურსი **23.30** სერ. "**დაშალული სიმარტლე**"

08.00 ან/ფ "ატომი" **09.00** სერ. "**კარგი ცოლი**" **4-5-6** სერ. **12.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი 2**" **3** სერ. **13.00** სერ. "**შილდის აგენტები 2**" **3-4-5-6** სერ. **17.00** სერ. "**შარი 3**" **7-8** სერ. **19.00** სერ. "**ჯაშუში 5**" **6-7** სერ. **21.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი 2**" **4** სერ. **22.30** სერ. "**სპარტაკი**" **23.30** სერ. "**სპარტაკი 2**" **1** სერ. **00.30** მხ/ფ "**სიზმრებზე მონადირე**" **02.30** მხ/ფ "**შამანი**" **04.25** მხ/ფ "**ჩრდილოეთის ქვეყანა**" **06.20** მხ/ფ "**შენი ტელეფონი შენი ცხოვრებაა**"

08.00 ანიმაცია **08.30** დოკ/ფ **09.30** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე " **10.40, 12.40, 18.05, 19.50, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40** ახალი ამბები **11.20** მე რომ ვიყო **11.30, 00.00** ბიზნესკოდი **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიასთან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00, 03.00** მოდი გავეყაროთ **16.00, 01.00** ფაბრიკა **18.00** ანონსი **18.10** სერ. "**გაქცეულები**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 2.00** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე " **21.00** მხ/ფ **23.00** Hellow თბილისი

08.00, 00.00, 02.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.10** ანიმაცია **09.10, 13.30** დ/ფ **10.00, 19.10** სერ. "**დიასახლისი**" **10.50** "ვებ-სიახლეები" **11.10, 20.00, 20.35** თოქ-შოუ "ჰეშთეგი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მთავარი" **12.20** თოქ-შოუ "არტ-ექსპერტი" **13.00** ინგლისური ენის გაკვეთილები **14.30** თოქ-შოუ "სპორტკლუბი" **15.30**"ევრომაქსი" **16.00** მხ/ფ "**ლედი პაციენტი**" **18.30** "მე ვარ ფერმერი" **20.30** ანონსი **20.45**"იყო და არა იყო რა" (სააბავშვო გადაცემა) **21.40** "რჩეული ფრაგმენტები" **22.00, 00.05** "ანარეკლები" **00.30** მხ/ფ "**სხოვრების გაკვეთილი**"

06.10 დ/ფ "ველური ბუნება" **06.40** დ/ფ "მარჩენალი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30, 19.25** "განთიადი" **10.10** დ/ფ "ხელოვნების ქურუმი" **11.05** დ/ფ "მეფე და ბერი" **12.05** მხ/ფ "**როგორ ვიცხოვრო უფრო დიდ**" **13.15** კონცერტი - ლიანა ისაკაძე "ღამის სერენადები" **15.05** მხ/ფ "**კაპიტანები**" **16.10** კონცერტი -თელავის მუსიკალური ფესტივალის დასკვნითი კონცერტი **18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **18.10** დ/ფ "ნიკო ნიკოლაძე" **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.35** აქტუალური თემა **22.25** დ/ფ "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საღვთისმეტყველო საუბრები **00.35** მხ/ფ "**რაც ოთარი წავიდა**" **02.15** კონცერტი -ანა-სოფია მუტერი **03.40** მხ/ფ "**გაქცევა შოუშენკიდან**"

10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოწავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

27 თებერვლისთვის

აშშ დოლარი — 2.4671

ევრო — 3.0375

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4475

100 რუსული რუბლი — 4.3763

ამინდის პროგნოზი 27 თებერვლისთვის

22 თებერვლიდან

ეჟენ იონესკო

განდგომილი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– კინოში რატომ არ დადიხარ?

– რაში მჭირდება? ინტერნეტიდანაც მშვენივრად გადმოვქაჩავ ნებისმიერ ფილმს და სახლში ვუყურებ...

– ეს სულ სხვა რამეა! კინოში სხვაგვარი ურთიერთდამოკიდებულებაა! მაგალითად: მეზობლად მჯდომი ატირდა, შენც წამოგივა ცრემლები. გაიცინა, შენც გაგეცინება...

– ჰო... ცხვირს დააცემინებს და შენც აგიტყდება ცხვირის ცემინება...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ადრე მონებს იმდენ საკვებს აძლევდნენ, რომ მათ მუშაობა შეძლებოდათ.

– ახლა?

– ახლაც ისევეა. ხელფასის განსაზღვრის პრინციპებში არაფერი შეცვლილა.

●●●

შვილი დედას შესჩივის:

– დედიკო, დღეს მამამ ორჯერ მცემა.

– რისთვის?

– პირველად იმ ნიშნებისთვის, რომელიც სკოლის დღიურში ნახა.

– და მეორედ?

– როდესაც მიხვდა, რომ ეს მისი დღიური იყო.

●●●

ინგლისელ, ფრანგ და რუს გოგონას სილამაზის კონკურსის წინ გასაუბრებაზე ეკითხებიან:

– წარმოიდგინეთ, რომ 20 მამაკაცთან ერთად დაუსახლებელ კუნძულზე მოხვდით. რას მოიმოქმედებთ?

ინგლისელი:

– ვილოცებ, რომ ღმერთმა გადამარჩინოს!

ფრანგი:

– მათ შორის ყველაზე ძლიერს შევარჩევ, რომ სხვებისგან დამიცვას!

რუსი:

– კითხვა გავიგე, მაგრამ პრობლემა რაში მდგომარეობს?

●●●

ორი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ალბათ, როგორ ნანობს გველი, სამოთხეში ევა და ადამი რომ აცდუნა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ როდესაც ევამ ვაშლი შეჭამა, გველში დაინახა არა მხოლოდ ცხოველი, არამედ ქამარი, საფულე და ხელჩანთა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

16 თებერვლიდან

შორენა ლებანიძე

ეს მე ვარ, ფიროსმანი

რომანი დიდი ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის ცხოვრების თავისებურ ლიტერატურულ ვერსიას გვთავაზობს, რომელიც დოკუმენტურ მასალებზე, საარქივო წყაროებსა და თანამედროვეთა მიერ მოთხრობილ რეალურ ცნობებზეა დამყარებული.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

21 თებერვლიდან

მაკა სეფაშვილის

დანაშაული აღარ მოხდება

„ქართული დეტექტივის“ მე-8 ტომი



ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი



1 მარტიდან

კანდიდ ჩარკვიანი

სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

27 თებერვლიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი
ტომი 14

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ალექსანდრ ლეგკოვსკი

ყველაზე შორეული ზურგი



წიგნი მოგვითხრობს 1943 წლის ზაფხულის მღელვარე პერიოდზე. მკითხველისთვის საინტერესო იქნება ნაკლებად ცნობილი „ლენდ ლიზი“-ის პროექტის გაცნობა, რომლის მიხედვითაც ამერიკამ მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირი 11 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო მასალებითა და სურსათით მოამარაგა. რომანში მოქმედება სსრკ-ში, ჩინეთში, ამერიკაში, იტალიაში, ესპანეთსა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე ვითარდება.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

გვარდიოლამ ინგლისში პირველი ტიტული მოიგო

ხოსეპ გვარდიოლამ მანჩესტერ სიტისთან ერთად პირველი ტიტული მოიგო ინგლისში. მანჩესტერ სიტიმ არსენალი 3:0 დაამარცხა და ლიგის თასის მფლობელი გახდა.

გვარდიოლას შეგირდები მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდნენ და მათ გამარჯვების მიღწევა არ გაჭირვებიათ.

გვარდიოლამ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და მისი გუნდი მომავალში კიდევ არაერთ ტიტულს მოიგებს.

პრემიერ ლიგაში მანჩესტერ სიტი დიდი უპირატესობით ლიდერობს, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონობა უკვე ჯიბეში აქვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

პიკე ბარსელონას შემდეგ შეხვედრას გამოტოვებს

ბარსელონას ცენტრალურმა მცველმა ჟერარ პიკემ ტრავმა მიიღო, რის გამოც ის ბარსელონას მომდევნო შეხვედრას ლას-პალმასის წინააღმდეგ გამოტოვებს.

ლას-პალმასის შემდეგ ბარსელონას ესპანეთის ჩემპიონატში საკმაოდ მნიშვნელოვანი შეხვედრა აქვს მადრიდის ატლეტიკოსთან და იმ მატჩისთვის პიკე, სავარაუდოდ, მზად იქნება.

ბოლო პერიოდში პიკეს ხშირად აწუხებს მცირე ტრავმები, მაგრამ სერიოზული არაფერია და ამ თემაზე ერნესტო ვალვერდემ უკვე ისაუბრა.

ენტონი მარსიალით რეალი დაინტერესდა

მანჩესტერის იუნაიტედის ფრანგ ფეხბურთელს ენტონი მარსიალს წლის ბოლოს გუნდთან კონტრაქტი უმთავრდება და შესაძლოა მან მანჩესტერი დატოვოს.

მარსიალის შეძენით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული და მათ შორის არის მადრიდის რეალიც, რომელსაც ზაფხულში ბევრი ტრანსფერი აქვს დაგეგმილი.

მარსიალი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება, თუმცა ბოლო პერიოდში ის არცთუ ხშირად ხვდება მანჩესტერ იუნაიტედის ძირითად შემადგენლობაში და ეს გარემოება შესაძლოა მისი წასვლის მიზეზიც გახდეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯვოსვოხდი ა

შვეულად: 1. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების მარტივი ერთეული; 2. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 3. წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მისი დამდები მხარეების ვალდებულებებს; 4. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 8. ესპანური ავიაკომპანია; 9. სპირტიანი სასმელების კონტრაბანდისტი აშშ-ში; 12. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 14. ღვინის ძველებური საწყაო; 16. მონასტერი ხარაგაულის რაიონში.

თარაზულად: 1. კლდეში ნაკვეთი ქალაქი შიდა ქართლში; 6. პოლონური სამეჯლისო ცეკვა; 7. მეცნიერული ნაშრომის, ლექციის, სტატიის მოკლე შინაარსი; 9. ინგლისური მსუბუქი ავტომობილი; 10. ჩეხური მოტოციკლეტი; 11. სასიამოვნო სურნელება; 13. კვერნისებრთა ოჯახის მღრღნელი ცხოველი; 15. ავსტრალიური თუთიყუში; 17. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 18. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 19. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. წიაღისეულის მოპოვების ადგილი.



შეადგინა თ.გოგინაშვილმა